ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

16 თებერვალი შაბათი 1991 № 19 (11652)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო საბჭოს

**თქვენ** კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დაძაბული ვითარებაა საქართველოში და რა პირობებში უხდება მუშაობა უზენაეს საბჭოს. დესტრუქციული ძალებიც ყოველნაირად ცდილობენ საქართველოში არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას, რასაც ხელს უწყობს საკავშირო საინფორმაციო საშუალებებით მდგომარეობის ცალმხრივი, ტენდენციური გაშუქება, რომელიც დაძაბულობის ახალ-ახალი კერების გაჩაღებას უფრო ემსახურება, ვიდრე სიტუაციის ნორმალიზებას.

არსებული მწვავე ვითარებისათვის თქვენ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებთ საქართველოს მთავრობას და ბრალად სდებთ უმოქმედობას, არ ერიდებით შანტაჟს და თავდაცვის საბაბით თუ მოტივით ცდილობთ ჩაერიოთ მმართველობის შინაგან სტრუქტურაში.

ყოვლად შეუძლებელია არდანახვა იმ პოზიტიური ძვრებისა, რომელსაც საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე ახორციელებენ: გამკაცრებულია კანონი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ მხრივ გარკვეული დადებითი შედეგები უკვე მიღწეულია. ნაწილობრივ ამოღებულია უკანონო იარაღი, მიღებულია დადგენილება შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლის შესახებ. მიმდინარეობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების კამპანია, რაც კონკრეტული რეგიონის კონტროლირების გარანტიას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეთნოკონფლიქტში სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედება, რომლის მამხილებელი ფაქტები მოყვანილი იყო თქვენდამი მომართულ წერილში და რომლებიც ჯერჯერობით რეაგირების გარეშე რჩება, საქართველოს უზენაესი საბჭო არ იზიარებს აზრს ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ისეთი ავანტურისტული აქციების შესახებ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დაძაბულობის გამწვავება და მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა კავშირის სამხედრო ჯარების ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის ნორმაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

აქედან გამომდინარე, ყოვლად გაუმართლებელია განავრცო თქვენს მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები (რომლებზეც, ცხადია, აღძრული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმე სათანადო ინსტანციებში) მთელ მოსახლეობაზე და დაადანაშაულო მთავრობა გაუგებარ ნეიტრალიტეტში.

საქართველოს უზენაესი საბჭო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გარეშე ძალის ჩაურევლად, დროულად აღკვეთოს ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის მშვიდობიან თანაარსებობას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.**

●

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. პატრიკეევის წერილში გაიპარა პრინციპული შეცდომა — ტექსტის ბოლო აბზაცში ნაცვლად სიტყვებისა „შესაბამისად ჩაერიონ", უნდა იყოს „შესაბამისად არ ჩაერიონ", რისთვისაც რედაქცია ოფიციალურად იხდის ბოდიშს. ამის თაობაზე სარდალს სათანადო წერილი გაეგზავნა.

### რსფსრ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს

## დადგენილება

### სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით რსფსრ სახალხო დეპუტატთა ჯგუფის საქართველოში გამგზავრების შედეგების შესახებ

მოისმინა რა რსფსრ სახალხო დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელის გ. ნ. სოროკინის ცნობა, რსფსრ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს ამ რეგიონში მოვლენათა განვითარებით და აცხადებს, რომ გმობს პოლიტიკური და ეროვნული პრობლემების გადაჭრის ცდებს ანტიკონსტიტუციური აქტებისა და სამხედრო ძალის გამოყენებით, რომელი მხარიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი.

ეროვნებათა საბჭო **ადგენს:**

1. სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით რსფსრ სახალხო დეპუტატების, ამხანაგების პ. ვ. ანტონოვის, ნ. მ. არყანიკოვის, ვ. ვ. შუიკოვის გამგზავრების შედეგების შესახებ ამხ. გ. ნ. სოროკინის ინფორმაცია ცნობად მიიღოს.

2. მოუწოდოს საქართველოს პარლამენტს და მთავრობას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სურსათით, გათბობით, წყლით, მედიკამენტებით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

3. რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჩქაროს საქართველოს ხელმძღვანელობასთან უშუალო მოლაპარაკების დაწყება სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების სასწრაფოდ და მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით.

4. სსრ კავშირის პრეზიდენტს ამხ. მ. ს. გორბაჩოვს მიმართოს წინადადებით განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი საქართველოს ამ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

5. რსფსრ მინისტრთა საბჭომ მიაწოდოს ინფორმაცია დეპუტატებს ეროვნებათა საბჭოს 1991 წლის 20 თებერვლის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობისათვის საჭირო ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შესახებ რსფსრ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 8 თებერვლის № 590-1 დადგენილების შესრულების თაობაზე.

**ვ. ა. სიროვატკო,**
**რსფსრ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**
**მოსკოვი, რსფსრ საბჭოების სახლი, 1991 წლის 14 თებერვალი.**

## სარჩელი დაკმაყოფილებულია

15 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" და საქართველოს ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სარჩელი და დაუშვა ისინი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

საქინფორმი

## მცირე პარალელი

მეორე ათასწლეულის ყოველ საუკუნეში ამგვარი, შეიძლება ითქვას „ფირმა" წლები მხოლოდ ერთხელ დგება.

მაგალითად ასე —

1212 და 1221;
1313 და 1331;
1515 და 1551;
1717 და 1771;
1818 და 1881;



## 1919 და 1991

### ანუ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება თუ?..

ჩვენი დიდი წინაპარი, ალბათ, გამორჩეულ მნიშვნელობას არც აძლევდა წელიწადის რიგითობას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ასეთი წლების მიმართ მათ ინდიფერენტულობას.

1919 წელი?!
1991 წელი?!

რა საერთო უნდა ჰქონდეთ მათ?

გარეგნულად არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მხოლოდ ბოლო ორი ციფრია ურთიერთმონაცვლებული.

მაგრამ დავიხიოთ ზუსტად 72 წლით უკან —

72 წლის წინათ, 1919 წელი საქართველოსათვის, სახელმწიფოებრიობა აღდგენილი რესპუბლიკისთვის პირველი ახალი წელი იყო.

მაშინაც — 1919 წელს და ახლაც — 1991 წელს იყო და არის იმედი, რწმენა მომავლის, სრული თავისუფლების, ჩვენი თავის „ჩვენადვე ყუდნების".

მაშინაც — 1919 წელს და ახლაც — 1991 წელს ჩინური კალენდრით იყო და არის თხის წელიწადი.

ოღონდ — ეგაა — 1919 წელს თხის წელიწადი დაიწყო 1 თებერვალს,

წელს კი — 15 თებერვალს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „წითელი" წელიწადი არც ერთი იყო და არც მეორე.

ღმერთმა ქნას, ამიერიდან მარადიულად ასე იყოს.

**გიგლა გოგეჩია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრესკონფერენცია მე-11 სართულზე

**მიმდინარე წლის 12 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-11 სართულზე გაიმართა პრესკონფერენცია საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲗᲐᲜ.**

**ამხ. ა. მარგიანმა უპასუხა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების შეკითხვებს.**

**გთავაზობთ რამდენიმე მათგანს მცირე კომენტარით. ვფიქრობთ, მათ მკითხველთა არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვება.**

**— საქართველოს კომპარტიამ XXVIII ყრილობაზე გამოაცხადა, რომ ის არის დამოუკიდებელი. არის თუ არა ეს დამოუკიდებლობა იურიდიულად გაფორმებული ცენტრში? აღიარა თუ არა მოსკოვმა ეს და თუ აღიარა, მაშინ, რაში გამოიხატება იგი? ამასთან ერთად, ხომ არ არის საქართველოში საკავშირო კომპარტიის პლატფორმაზე ახალი პარტიის შექმნის საშიშროება (ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „7 ᲓᲦᲔ“)?**

— ფაქტიურად XXVIII ყრილობა გახდა დამფუძნებელი. დამოუკიდებლობა პოლიტიკური პარტიისათვის მთავარია. ჩვენ პოლიტიკურად მთლიანად დამოუკიდებელი ვართ. სკკპ ამას ძალიან ნორმალურად შეხვდა, მაგრამ აქ არის ერთი მომენტი. სკკპ ფლობს დიდ ქონებას. შენობა-ნაგებობები და სატრანსპორტო საშუალებები ერთიან ბალანსზეა. ასე რომ, ქონებრივი გაყოფა არ მომხდარა. ის პროვოკაციული განცხადება, რაც „ლენინსკაია ზნამიამ“ გააკეთა ამ დღეებში, თითქოს ჩვენ 10 მილიონი მანეთი მივიღეთ სკკპ-საგან, არის წმინდა წყლის სიცრუე. ეს იმათ სასარგებლოდაა, ვინც ცდილობს რესპუბლიკაში ისედაც დაძაბულ ვითარებას დაუმატონ არაჯანსაღი ხმები.

**— დაახლოებით რა მოცულობისაა ეს საერთო ქონება („7 ᲓᲦᲔ“)?**

— ეს არის 41 მილიონი მანეთის ქონება. ეს, რა თქმა უნდა, დარჩება საქართველოში. ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას კომუნისტური ერქმევა სახელად. რაც შეეხება ახალი კომპარტიის შექმნის საკითხს საქართველოში, გეტყვით, რომ თუ ჩვენ შეგნებულად არ მივუდგებით საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის არსებობას, მისი წარმოშობის საშიშროება არის. სხვათა შორის, ყრილობაზე იყო ასეთი აზრი, რომ შეგვეცვალა სახელი კომპარტიისთვის, ვინაიდან ეს სახელწოდება ნერვებს უშლიდა ამ ბოლო დროს გამეფებული ანტიპარტიული ფსიქოზის მონაწილეებს, მაგრამ როგორც კი ამას გავაკეთებთ, იმ წუთს საქართველოში ხუთი პარტია მაინც წარმოიშობა საკავშირო კომპარტიის პლატფორმაზე. არ დავასახელებ სად, თქვენ ამას ისედაც მიხვდებით.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ:** ბატონმა ავთანდილმა გადაჭრით უარყო ის ფაქტი, რომ კრემლმა საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას ჩაურიცხა 10 მილიონი მანეთი. 13 თებერვალს კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ბანკში 28 იანვარს საქართველოს კომპარტიის ანგარიშზე ჯერ-ჯერობით ჩარიცხულ იქნა ცენტრიდან მილიონ ნახევარი მანეთი. ეს ფაქტი, როგორც ითქვა, მართლა არ საჭიროებს კომენტარს.

**— თქვენ ბრძანებთ, რომ საქართველოს კომპარტიამ კომერციას მიჰყო ხელი. ისიც ითქვა, რომ აქ კომპარტიის ფულადი სახსრები იქნება დაბანდებული. კომერცია ხომ იმისთვის არსებობს, რომ მოგება მოგვცეს. ისიც ცხადია, რომ საქართველოს კომპარტია სსრკ კომპარტიისაგან ქონებრივად გაყოფილი არ არის. ამ შემთხვევაში, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ სსრკ-ს ქონებას უფრო ამრავლებთ, ხომ არ სჯობს, ჯერ გამოვეყოთ ფინანსურად და მერე ვიფიქროთ მოგებაზე? (გაზეთი „ᲔᲠᲘᲡᲘᲝᲜᲘ“).**

— გავიგე, მაგრამ ჩვენ ფინანსურად გამოყოფილი ვართ. აქ მხოლოდ შენობებზეა საუბარი. 1972 წლიდან მოყოლებული ჩვენ 15 მილიონი მანეთი გვეკუთვნის საერთო საწევრო ანარიცხებიდან.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ რაიკომებში 10-12 კაცი დარჩა. რამდენია თქვენთან აპარატში? (პროგრამა „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“).**

— ჩვენთან იყო 250 კაცი, დარჩა 80-მდე მუშაკი. ჩვენ ხელაღებით არ შეგვიმცირებია შტატები. მოვერიდეთ ამას.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეთანხმებით ეროვნული პარლამენტის გეზს, მაგრამ თქვენს წერილში „ფრთხილად, წინ საშიში დემაგოგია“, ეს არ იგრძნობა. იქნებ გვითხრათ, ეს თქვენი პოზიციაა თუ იმ განყოფილების ან რეფერენტის, რომელმაც ეს წერილი მოამზადა? (გაზეთი „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ“).**

— ეს წერილი მე მოვამზადე. ეგ არის ზუსტად ჩემი პოზიცია. იქ უფრო მძაფრად მქონდა, მაგრამ მერე შევარბილე კიდევ. ეს ის პასუხია, რომელიც უნდა მიეღო არამკითხე ადამიანს. ისეთებს, რომლებიც ცდილობენ დესტაბილიზაცია მოახდინონ გაერთიანებულ პირობებში. რა დროის უშიშროების ოფიცრის გასაქილიკებელია კაცი, რომელიც ერთი თვის მოსული ვარ აქ. იქ რაც წერია, ეხება იმათ, ვინც ადამიას უკან დგანან. პარლამენტი აირჩა ერთი კაცის ხათრით. მე სიტყვითაც და საქმითაც ვიქნები ზვიად გამსახურდიას გვერდით, ვიდრე იგი ის გამსახურდია არის, რომელსაც მე ვიცნობ — ქართველი ერის თავისუფლებისათვის მებრძოლს.

**— თქვენ იმ წერილში ბრძანეთ, რომ მიმართეთ მხოლოდ თამაზ ადამიას. იქვე ამბობთ იმასაც, რომ ეს გაზეთი პარტიისაგან ფეშქაშად გაქვთ წაღებული. დააკონკრეტეთ ეს სიტყვები.**

— მის უკან ვინც დგას, იმას აქვს ეს გაზეთი წაღებული.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ:** გეცნოთ, ალბათ, დახვეწილი დემაგოგიაა. რა გამოდის? ბატონი ავთანდილის თქმით — აქ ამის განმეორებაც კი არ გვსურს, გაზეთი, რომელიც ერთ-ერთი პირველი აუმხედრდა კომკავშირს, პარტიას და რომელიც ამისთვის ყოფილმა კომკავშირულმა და პარტიულმა ფუნქციონერებმა არც მეტი, არც ნაკლები მოღალატედ შერაცხეს, თურმე სუკ-ს ჰქონია საჩუქრად წაღებული. რა ვთქვათ, ვიცინოთ, ვიტიროთ თუ?... ასეთი სიმართლით ატარა ღმერთმა ე. წ. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია.

**— ბატონო ავთანდილ, თუ არის თქვენთვის ცნობილი ის მოგება, რასაც „ახალგაზრდა ივერიელი“ და გნებავთ სხვა რესპუბლიკური გაზეთები აძლევენ პარტიულ ბიუჯეტს?**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ეს გამოცემები დიდ მოგებებს იძლეოდა, მაგრამ ბოლო ხანებში სალაროში არაფერი შემოგვსვლია. თუ რამე შემოგვივა, არაფრის შეგეშინდეთ, ყველაფერს სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში ჩავრიცხავთ.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ:** გაზეთის გავრცელებიდან მიღებული შემოსავალი რედაქციის თანამშრომელთა თავჩაუხრელი შრომის შედეგია და თუ ის საქველმოქმედო საქმეს უნდა მოხმარდეს, დაე, დაერქვას მისი სახელი, ვისი ოფლითაცაა ის მოპოვებული და არა კომპარტიის, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ენერგიულად იმკიდა ყველას შრომის შედეგს.

# 400-ათასიანი არმია თუ მცირე რაზმი

**არცთუ იშვიათად გაიგონებთ დღეს კომუნისტებისგან რიხით გამოთქმულს — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ 400-ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ. ამასაც არ სჯერდებიან და მათ რაოდენობას კომუნისტთა ოჯახის წევრებსაც (და მგონი, ნათესავ-მეგობრებსაც) ათვლიან და ციფრსაც მეტყველს ხდიან.**

**ვინაიდან თვითონ კომპარტია არ აღრიცხავს წევრთა რაოდენობას (ეჭვი გვაქვს, ეს მათ ინტერესში არ უნდა შედიოდეს), გადავწყვიტეთ მცირე ჟურნალისტური მოკვლევა ჩაგვეტარებინა. შედეგად ორმა ჟურნალისტმა ეს მასალები მოგვიტანა:**

## 1

მრავალპარტიულ არჩევნებში ოპოზიციური ბლოკის (მრგვალი მაგიდის) გამარჯვების შემდეგ მრავალი ადამიანი გავიდა სკკპ რიგებიდან, მრავალ წარმოება-დაწესებულებაში გაუქმდა პარტორგანიზაციები. თუმცა, ეს პროცესი უფრო ადრე, 9 აპრილის სისხლიანი დღეების შემდეგ დაიწყო, როცა მოქალაქეთა დიდი ნაწილი პროტესტის ნიშნად ტოვებდა კომპარტიას. მრავალპარტიულმა არჩევნებმა კი უფრო განუმტკიცა მათ რწმენა იმისა, რომ კომუნისტები ვეღარ შეძლებდნენ მმართველობის სათავეებში მოქცევას და ეს სავსებით გასაგები ფსიქოლოგიური მომენტია, რადგანაც კომპარტიის წევრთა უმრავლესობა თავის დროზე პარტიაში შევიდა იმიტომ, რომ სკკპ მმართველი პარტია იყო (რეალურადაც და კონსტიტუციურადაც) და შტატების უმრავლესობა პარტიული ორგანიზაციების ნომენკლატურას წარმოადგენდა. ამდენად, თუ პარტიული არ იყავი, წესიერ სამსახურსაც ვერ ეღირსებოდი.

როგორც გითხარით, სკკპ ორგანიზაციები მრავალ წარმოება-დაწესებულებაში გაუქმდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კი კომუნისტთა ზუსტ ციფრს დღემდე არ ასახელებს. რითაა ეს გამოწვეული? მოუწესრიგებელი პარტიული სტატისტიკაა თუ სპეციალურად გამიზნული დეზინფორმაცია? გადავწყვიტეთ ზოგი რამ თავად შეგვემოწმებინა.

მართალია, ამ დღეებში ენერგეტიკული კრიზისის გამო მრავალი წარმოებაა გაჩერებული და ყველგან დარეკვა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ სადაც დავრეკეთ, კომპარტიისათვის სასიკეთო არაფერი უთქვამთ. კერძოდ, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“ გასული წლის მაისში გაუქმდა კომპარტია და მისმა 80 წევრმა დატოვა მანდატი. წიგნის ფაბრიკაში 90 კომუნისტი ჰყავდათ, მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ნოემბერში აქაც გააუქმეს პარტორგანიზაცია და როგორც ყოფილმა პარტკომმა, ქალბატონმა პელაგია მუხიგულაშვილმა გვითხრა, — 17 კომუნისტიღა დარჩენილა პარტიაში და მათგან მხოლოდ შვიდიოდე თუ დარჩა რწმენის გამოო, დანარჩენებს უბრალოდ, დაეზარათ პარტმანდატების მოძებნა და ჩაბარება, თორემ ისინიც ჩამოშორებული არიან პარტიასო. სხვათაშორის, ასე „ჩამოშორებული“ კომუნისტების რაოდენობაც საკმაოდ დიდია. მაგალითად, ჩვენი პარტორგანიზაციიდანაც, როცა გავაუქმეთ, ორი წევრი დარჩა კომპარტიაში, მაგრამ მათ დღემდე საწევრო არ გადაუხდიათ... ახლა როგორ ჩავთვალოთ, ისინი კიდევ ამრავლებენ კომპარტიის რიგებს თუ არა? ჩვენთან პარტორგანიზაცია გაუქმდა გასული წლის მარტში და კომუნისტური წესდების მიხედვით კი სამი თვის საწევროს გადაუხდელობის შემდეგ პარტიიდან გასულად ითვლები... თუმცა, კომუნისტები ახლა მკაცრად აღარც იცავენ წესდებას, ოღონდაც კი წევრები შეინარჩუნონ.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საწარმოა. შეიძლება ითქვას, ბოლშევიზმის კერა. აქ 500-მდე კომუნისტი ჰყავდათ. მაგრამ მაინც მოახდინეს წარმოების დეპოლიტიზაცია და ახლა აქ 25-მდე კომუნისტიღა მუშაობს. მაგრამ, როგორც არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, კოლექტივს დეპოლიტიზაციის საშუალებას არ აძლევენ კრწანისის სასათბურე მეურნეობაში, რომლის ყოფილი დირექტორიც (ონიანი) ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია, ხოლო სასათბურე მეურნეობის დირექტორად მისი შვილი დარჩა. (სხვათაშორის, იქნება ვინმემ ამ შეკითხვაზეც გვიპასუხოს — რა მემკვიდრეობითი უფლება აქვთ ონიანებს კრწანისის სასათბურე მეურნეობაზე?)

სამწუხაროდ, კრწანისის სასათბურე მეურნეობის შემთხვევა ერთეული როდია. რამდენიმე დიდ წარმოებას და კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ მოუხდენია დეპოლიტიზაცია, თუმცა კომპარტიები ამ წარმოებათა თუ კოლმეურნეობათა სამეურნეო შედეგებზე ნამდვილად ვერ მოქმედებენ დადებითად, ხოლო რიგით მუშა-მოსამსახურეებს თავისი ისედაც მწირი ხელფასებიდან კიდევ კომპარტიის საწევროსაც ახდევინებენ, რათა შემდგომ ამ თანხებით ხელგაშლილად იცხოვრონ ეგრეთ წოდებულმა „აპარატჩიკებმა“. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? იქნებ დაფიქრდნენ ამაზე ისინი, ვინც ჯერ კიდევ არ გასულა ჩვენი დამღუპველი კომპარტიის რიგებიდან, ხოლო მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, ბოლოს და ბოლოს, გამოაცხადოს კომუნისტთა ზუსტი ციფრი...

**ᲪᲘᲐᲚᲐ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲘ**

## 2

**არსებობს თქვენთან პარტიული ორგანიზაცია? და თუ არსებობს რამდენი წევრია მის რიგებში?**

ამ კითხვით პირველად ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე, ბატონი ნოდარ როსტომაშვილი შევაწუხეთ. სამწუხაროდ, მან ზუსტი ციფრობრივი მონაცემები ვერ მოგვაწოდა. ერთი მიზეზით — პარტიული ორგანიზაცია ჩვენთან 1 წელია რაც გაუქმდა, ყველანაირი საბუთი საბურთალოს რაიკომს გადავუგზავნეთო...

ვერც უნივერსიტეტში მივიღეთ ამომწურავი პასუხი. იციან რამდენი თანამშრომელი ჰყავს უნივერსიტეტს (5 ათას ექვსას სამი) იციან, რომ 1 იანვრამდე კომპარტიის რიგებიდან გავიდა 367 კაცი, 1 იანვრის შემდეგ მას დაემატა კიდევ ოთხმოცი, მაგრამ რამდენი წევრი ჰყავს დღეს უნივერსიტეტში კომპარტიას ამაზე არავინ არაფერი იცის... ერთი მიზეზით — პარტიული ორგანიზაცია თსუ-ში არ არსებობს...

ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის, ბატონი თენგიზ თორდიას პასუხი შედარებით სრულყოფილი გახლდათ, თუმცაღა ციფრობრივი მონაცემების სიზუსტეზე გარანტია ვერც მან მოგვცა.

ჩვენს ინსტიტუტში პარტიული კრება 1 თვის წინათ მოვიწვიეთ პარტიული ორგანიზაციის გასაუქმებლად. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. ვეტერანმა თანამშრომლებმა უარი განაცხადეს პარტიის რიგებიდან გასვლაზე. ბიურო დაიშალა, ორგანიზაცია — არა.

9 აპრილის შემდეგ კომპარტიის 130 წევრიდან ოცდაათმა კაცმა დატოვა მისი რიგები, ოცდახუთი (ისე რომ გასვლა არ გაუფორმებიათ) აღარ იხდიან საწევროს, გამოდის რომ კომპარტიის წევრი ჩვენს ინსტიტუტში არის 20-დან 30-მდე კაცი, თუმცაღა სად იხდიან ისინი საწევროს, არავინ იცის. ფაქტი ერთია, პარტიული ორგანიზაცია ჩვენთან მკვდარია...

თითქმის იგივე პასუხი გაგვცა პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ციალა ბახტაძემ... მათ ინსტიტუტში პარტიული ორგანიზაცია არ დაშლილა, გაუქმდა ბიურო. იანვრის თვეში პარტიის სამოცი წევრიდან საწევრო გადაიხადა 21 კაცმა.

51-ე საშუალო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ინეზა იამანიძემ მისვლის უმალ მოგვიბოდიშა... მართალია კრება ვერ მოვიწვიეთ პარტიული ორგანიზაციის გასაუქმებლად, მაგრამ საწევროს სკოლის 15-კაციან პედ-კოლექტივიდან არავინ იხდის.

კრებაც ვერ მოვიწვიეთ იმიტომ, რომ წლების მანძილზე, ჩვენს სკოლაზე რაიკომიდან „მომაგრებული“ პენსიონერები, ვეტერანი კომუნისტები ვერ მოვძებნეთ... ვფიქრობ, რაიკომში ეცოდინებათ მათ შესახებ...

დღესდღეობით კი ჩვენს სკოლაში პარტიული ორგანიზაცია რეალურად არ არსებობს...

როგორც 139-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ აზა ლეჟავამ გვითხრა, მათ პედკოლექტივში 13 კომუნისტიდან მანდატი დატოვა შვიდმა, ამჯერად პარტიული ორგანიზაციის წევრად ითვლება 6 კომუნისტი...

**ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲓᲝᲜᲐᲫᲔ**

**ამ ორი პუბლიკაციიდან, პრინციპში, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მეტი სიცხადისათვის შემოგთავაზებთ მცირე მათემატიკურ გაანგარიშებას. საეჭვო ციფრები და ვარაუდები მხედველობაში არ მიგვიღია და ის მხოლოდ მყარ ციფრებს ემყარება.**

**როგორც გაირკვა, „ნადიკვარში“ კომპარტიის რიგები ყველა 80-მა წევრმა დატოვა, წიგნის ფაბრიკაში 90-დან — 73-მა, ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში 500-დან — 475-მა, ისტორიის ინსტიტუტში 130-დან — 100-მა, 139-ე სკოლაში 13-დან — 7-მა. ე. ი. ამ ორგანიზაციებში 813 კომუნისტიდან (80+90+500+130+13) კომპარტიის რიგებში დარჩა 78 (0+17+25+30+6). ეს საერთო რაოდენობის (813-ის) 9,59%-ს შეადგენს. ხულ მცირე სოციოლოგიური განზოგადოებაა საჭირო და მართლაც მეტყველ ციფრს მივიღებთ. 400 ათასის 9,59% არის 38 ათას 360, ე. ი. დღეს საქართველოს კომპარტია ჩვენი ელემენტარული გამოანგარიშებით დაახლოებით ითვლის არა 400 ათასს, არამედ 38 ათას 360 წევრს. ესეც კომუნისტთათვის უკეთეს ვარიანტში, რადგან, თუ ისევ კომპარტიის წესდებას გავითვალისწინებთ, რომლის ძალითაც კომუნისტი, რომელიც 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ იხდის საწევროს, გასულად ითვლება პარტიის რიგებიდან, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ რესპუბლიკის მთელი კომუნისტებისგან „ნათელი მომავლისათვის“ მებრძოლ ფრონტს მხოლოდ მცირე რაზმიღა შემორჩა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მეტეხი“ სტუმრებს ელის

26 მარტს შედგება ავსტრია-საქართველოს ერთობლივი ფირმის ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს — „მეტეხი პალას“ გახსნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 14 თებერვალს სასტუმროს შენობაში შედგა ჟურნალისტების შეხვედრა ავსტრიის ფირმა „ABV“-სა (პრეზიდენტი ლეოპოლდ ბაუმბეკი) და ერთობლივი ფირმის წარმომადგენლებთან. პრესკონფერენციას ესწრებოდა „ABV“-ს დირექტორი — ბატონი ფალლერი, ფირმის წარმომადგენელი — ბატონი რაუტერი, ქალაქის საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე — ბატონი ირაკლი ანდრიაძე, მისი მოადგილეები არჩილ ჯაფარიძე, დიმიტრი ლომაია, ზურაბ კახნიაშვილი, თენგიზ ჯაბადარი, ავსტრია-საქართველოს ერთობლივი ფირმის დირექტორი ბატონი თენგიზ სიხარულიძე, სასტუმროს მთავარი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი და სხვები.

პრესკონფერენციის დაწყებამდე დავათვალიერეთ სასტუმროს ინტერიერი: ნომრები, აპარტამენტები, საბანკეტო დარბაზები, სხვადასხვა საქმიანი შეხვედრებისთვის განკუთვნილი ოთახები, რესტორნებისა და ბარებისთვის გამოყოფილი ადგილები, სადაც სტუმრებს გაუმასპინძლდებიან როგორც ევროპული, ისე ნაციონალური კერძებით და სასმელებით.

პრესკონფერენცია გახსნა ქალაქის მერმა — ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ, რომელმაც ისაუბრა ჩატარებული სამუშაოების შესახებ, გაგვაცნო მონაწილე ორგანიზაციების წვლილი სასტუმროს მშენებლობაში და გამოთქვა სურვილი, რომ ეს იყოს არა მარტო სასტუმრო, არამედ კულტურული ურთიერთობის ცენტრი, სადაც ჩამოსულ სტუმრებს შეეძლებათ მიიღონ სრული, ჭეშმარიტი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოს ყოფის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას. პირველი ასეთი შეხვედრა-სიმპოზიუმი, რომლის მთავარი პრინციპი იქნება ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, გაიმართება ზაფხულში და მასში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ყველა წამყვანი ფირმის პრეზიდენტები. ამ სასტუმროს გახსნა საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა. ავსტრიის ფირმა „ABV“-სა და საქალაქო საბჭოს ალმასკომს შორის დადებული კონტრაქტი მეტად ხელსაყრელია ჩვენთვის. სასტუმროს მშენებლობა დაჯდა 36 მილიონი დოლარი, რომელიც მთლიანად სესხად ავიღეთ ავსტრიის ბანკიდან. ეს სესხი უნდა გავისტუმროთ 17 წლის მანძილზე, ამასთან, 2 წლიწადი განთავისუფლებული ვართ სესხის გადახდისაგან და განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო თავიდან გაგვიჭირდა სესხის გადახდა, ავსტრიელებს რეზერვად გადადებული აქვთ 50 მილიონი შილინგი. მოგების 85 პროცენტი საქართველოში რჩება და სასტუმროს საშუალო დატვირთვისას ეს თანხა დაახლოებით შეადგენს 150 მილიონ მანეთს, ანუ ქალაქის ბიუჯეტის 30 პროცენტს, ხოლო დანარჩენი 15 პროცენტი გადის ავსტრიაში.

ბატონ ირაკლის შემდეგ ისაუბრა ფირმის „ABV“ დირექტორმა — ბატონმა ფალლერმა, რომელიც გულთბილად მოგვესალმა და მადლობა გადაგვიხადა ქართული სტუმართმოყვარეობის გამო. იგი გვესაუბრა სასტუმროს კეთილმოწყობასა და მომსახურების სფეროზე და აღნიშნა, რომ ისევე როგორც მთლიანად სასტუმრო, ისე მისი მომსახურე პერსონალი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. რაც შეეხება ქართულ კადრებს, რომლებიც მოემსახურებიან სასტუმროს, მათთვის სპეციალური შემსწავლელი კურსებია გახსნილი, ბატონმა ფალლერმა აღნიშნა როგორც ავსტრიელი, ასევე ქართველი მშენებლების („ინჟმშენის“) დიდი მონდომება და ენთუზიაზმი. სწორედ ეს განაწყობს მას ოპტიმისტურად, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება მაღალ დონეზე.







დარბაზიდან ავსტრიელებს დაუსვეს შეკითხვა, თუ რა იცოდნენ მათ წინასწარ საქართველოს შესახებ, რა შთაბეჭდილება შეექმნათ შემდეგ და რა სახით გაუწევენ რეკლამას სასტუმროს. ამ შეკითხვაზე პასუხი გაგვცა მარკეტინგის სპეციალისტმა ბატონმა მიულერმა, რომელმაც, აგრეთვე, გულითადი მადლობა გამოგვიცხადა ქართველებს სტუმართმოყვარეობისათვის: „სტუმართმოყვარეობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ. დიდი თხოვნა მაქვს ქართველებთან, დარჩით ასეთივე მეგობრულები. ეს არის ყველაზე იაფი და საუკეთესო რეკლამა ქვეყნისათვის. კავკასიონის მთები არის ნაკრძალი, სადაც შეიძლება თავისუფლად სუნთქვა. აქ არის ყველა საშუალება დასვენებისა და დროის გატარებისთვის“.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ამ ფირმასთან შეიქმნა კომერციული რეკლამის განყოფილება, სასტუმროში შეიქმნება სპეციალური შიდა არხი, რომელიც ტურისტებს მიაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა ხდება ქალაქში, რა ღონისძიებებია დაგეგმილი სასტუმროში, გააცნობს მათ ჩვენს კულტურას და ისტორიას ვიდეოკლიპების საშუალებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიდეოაპარატურა, რომელიც შეიძინა ავსტრიის ფირმამ, საშუალებას მოგვცემს ეს კლიპები გაკეთდეს მსოფლიო სტანდარტების დონეზე. მათი გატანა შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და ეს გაუწევს რეკლამას ჩვენს ყოფას. ამ ფილმებსა და კლიპებს გაამრავლებენ ვიდეოკასეტებზე და გაიყიდება სასტუმროს კიოსკებში სუვენირების სახით. ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს გულთბილი შეხვედრისათვის პრესკონფერენციის მონაწილეებს.

**ქეთინო დიდიშვილი,**
**ქეთინო ბახარია,**

**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები.**

**ოლეგ ბველესიანის ფოტოები**

# ინფორმაცია თუ დეზინფორმაცია?

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმდინარე წლის 8 თებერვალს გამოქვეყნდა საქინფორმის კორესპონდენტების გიორგი კორძაძის და რიმა შევჩენკოს ინფორმაცია რუბრიკით: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიაში — „ჩვენს გვერდით არის რადიაციული საფრთხე“.

ცნობილი ფაქტების — ჩერნობილის კატასტროფა, რადიონუკლეიდებით დაბინძურებული ხორცის რესპუბლიკისათვის გამოგზავნა, სასურსათო პროდუქტებში ჩერნობილის ავარიამდე რადიონუკლეიდების ნორმების არარსებობა, ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრის ეზოს ტერიტორიაზე რადიაციული დაბინძურების აღმოჩენა, შედეგების სალიკვიდაციოდ ჯანდაცვის სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ 1986 წლიდან დღემდე სისტემატურად გატარებული ღონისძიებების გაყალბება სხვა არაფერია თუ არა მოსახლეობის დეზინფორმაცია, დაძაბულ ვითარებაში დამატებით სტრესული სიტუაციის შექმნა და საქართველოს უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის კომისიის შეცდომაში შეყვანა.

ინფორმაციაში მოყვანილი მონაცემები — მწვავე ლეიკოზების ორჯერადი ზრდა, ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრის ტერიტორიაზე რადიაციული ფონის ამჟამად ოცდახუთჯერ მომატება, ამ ტერიტორიაზე მომატებული რადიაციის სალიკვიდაციოდ რესპუბლიკური სანეპიდსადგურის კომისიის შექმნა, ამ კომისიის მიერ საქმის მიფუჩეჩება, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოზიდული პროდუქტების ვარგისიანობაზე გამოკვლევის ფუნქციების საქაგრომრეწვის სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტისათვის გადაცემა — არ შეესაბამება სინამდვილეს.

აღშფოთებას იწვევს ისიც, რომ ზემოაღნიშნული არასწორი ინფორმაცია იბეჭდება რუბრიკით „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიაში“. უფრო მეტიც, თურმე „1986 წლიდან — **დღემდე** (ხაზგასმა ჩვენია) უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის ფედერაციის ოლქებიდან, რომლებმაც ჩერნობილის კატასტროფის ზემოქმედება განიცადეს, შემოაქვთ რადიაციული ნივთიერებებით მოწამლული დიდძალი პროდუქტები“.

ისმის კითხვა — ეს დეზინფორმაცია ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მზადდება დასაბუთებული სტატია პრესაში გამოსაქვეყნებლად.

**რ. ვეფხვაძე — პროფ. რესპუბლიკის მთავარი რადიოლოგი, ონკოცენტრის დირექტორი; ი. ზედგინიძე — პროფ. რესპუბლიკის მთავარი ჰემატოლოგი, სისხლის გადასხმის და ჰემატოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი; ა. ბელაშვილი — სამედიცინო ინსტიტუტის პროფ., კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის გამგე; რ. ხაზარაძე — მედ. მეც. დოქტ. სანიტარიისა და ჰიგიენის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი; ჯ. მანჯგალაძე — სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი; ნ. ქათამაძე — მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის რადიაციული უსაფრთხოების განყოფილების გამგე.**

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ თ. სიგუას

ორი წლის წინათ ბალანსზე გადმოგვეცა კოჯრის დასასვენებელი კომპლექსი, რომელსაც ვიყენებდით მრავალშვილიანი ახალგაზრდა ოჯახებისათვის. წლების მანძილზე აქ ისვენებდნენ და ამჟამადაც იმყოფებიან ახალგაზრდა მეცნიერები, ხელოვნების წარმომადგენლები, სპორტსმენები, მშრომელები, სტუდენტური ოჯახები. ამასთან, პირველ წელს ყველა დამსვენებელი ვაცხოვრეთ სრულიად უფასოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ სიძნელეებს განვიცდით, მაქსიმალურად შევეცადეთ კომპლექსის კეთილმოწყობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპლექსით სარგებლობა დაგეგმილი იყო სეზონურად, ჩვენმა მცდელობამ გარკვეული შედეგი მოგვცა. კოჯრის დასასვენებელი კომპლექსი ამჟამად თითქმის მთელი წლის განმავლობაში იტვირთება.

აღნიშნულ საკითხზე მონოპოლიას არ ვაცხადებთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცირე დროში ბევრი საქმე გაკეთდა, რისთვისაც მრავალი მადლობა მივიღეთ და რის შესახებაც არაერთხელ აღინიშნა ჩვენს პრესასა თუ ტელევიზიაში.

მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკვე მეორე წელია ზოგიერთ ორგანიზაციას, ასოციაციას, კოოპერატივსა თუ ცალკეულ „მატერიალურად მომძლავრებულ“ პირს ხშირად ძალზედ გაურკვეველი მიზნებისათვის, არ დაელიათ გაუმართლებელი პრეტენზიები კოჯრის კომპლექსის დასაკუთრებლად, ბალანსზე აღებისა და თვით ინდივიდუალურ მფლობელობაში შესყიდვის შესახებ. არაერთხელ იყო და დღესაც გრძელდება უნებართვოდ შეჭრის ცდები, რაც, რაღა თქმა უნდა, ატმოსფეროს ძაბავს და საფუძველს ქმნის არაჯანსაღი მითქმა-მოთქმისათვის.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, დღემდე შევინარჩუნეთ კომპლექსის მთლიანობა და არც ერთი ნაგებობა არ გადაგვიცია სხვის ბალანსზე, არც იჯარით, და მით უმეტეს ინდივიდუალურ მფლობელობაში, რადგან მტკიცედ მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ კომპლექსზე ვინმეს პრივილეგია გაუმართლებელია. და თუ ჩვენ გვიწევს მისი მეურვეობა, ეს იმითაა განპირობებული, რომ იგი ჯერჯერობით ოფიციალურად ჩვენს ბალანსზეა.

მიგვაჩნია, რომ კოჯრის დასასვენებელი კომპლექსის გამოყენება მომავალშიც უმჯობესი იქნება თბილისისა და მისი შემოგარენის მრავალშვილიანი ახალგაზრდა ოჯახების დასასვენებლად და ტურიზმისათვის.

ბატონო თავმჯდომარევ, იმედი გვაქვს, რომ თქვენის გულისხმიერებით, თქვენდამი დაქვემდებარებული სამსახურები ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდებიან კომპლექსის დღევანდელ მდგომარეობას, მის მომავალს. თუ საჭირო იქნება, მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას არ დავიშურებთ.

იმედია, რესპუბლიკის ახალი მთავრობა უყურადღებოდ არ დატოვებს აღნიშნულ საკითხს და კოჯრის დასასვენებელ კომპლექსთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას დადებითად გადაწყვეტს.

პატივისცემით,
**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო, კოჯრის დასასვენებელი კომპლექსის დირექცია.**



# ნიკოლოზ მუსხელიშვილი — 100

**ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი** დაიბადა ქ. თბილისში 1891 წლის 16 თებერვალს, სამხედრო ინჟინრის ოჯახში. ბავშვობის წლების დიდი ნაწილი მან გაატარა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მაწევანში, სადაც ცხოვრობდა მისი ბაბუა (დედის მამა) ალექსანდრე საგინაშვილი. ნიკო მუსხელიშვილის მშობლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვების აღზრდას. ნიკოს დედა, დარია ალექსანდრეს ასული, შვილებს მშობლიურ და ფრანგულ ენებს ასწავლიდა.

ნიკო მუსხელიშვილმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1909 წ. გიმნაზიაში სწავლის დროს განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა მათემატიკური საგნებისადმი. მათემატიკური საგნებისადმი დიდი სიყვარული პატარა ნიკოს ჩაუნერგა მამამ ივანე მუსხელიშვილმა, რომელიც კარგად ფლობდა მათემატიკას. თვით ნიკო მუსხელიშვილი დიდად აფასებს მამის როლს, როგორც მათემატიკის პირველი მასწავლებლისას. თავის სახელმძღვანელოს კინემატიკის კურსს, რომელიც პირველად 1928 წ. გამოიცა, ნიკო მუსხელიშვილმა ასეთი წარწერა გაუკეთა: „მათემატიკის ჩემს პირველსა და საუკეთესო მასწავლებელს, ძვირფას მამას, სამხედრო ინჟინერ-ტექნოლოგს ივანე მუსხელიშვილს ვუძღვნი ამ შრომას".

ნიკო მუსხელიშვილის მამა, როგორც სამხედრო ინჟინერი, მუდმივ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს მას გენერლის წოდება მიენიჭა.

თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1909 წ., ნიკო მუსხელიშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტში ნიკო მუსხელიშვილი წარჩინებით სწავლობს. ეუფლება არა მარტო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ სწავლობს ეილერის, ლაგრანჟის, კოშის, რიმანისა და სხვათა თხზულებებს. განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს მექანიკისადმი. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე სწავლის პერიოდში ის გაიტაცა მექანიკის მნიშვნელოვანმა დარგმა, დრეკადობის მათემატიკურმა თეორიამ. ფაქტიურად აქედანვე იწყება მისი მუშაობა დრეკადობის თეორიაში. დრეკადობა, ანუ, როგორც იტყვიან, დრეკადი თვისება მეტნაკლებად ყველა სხეულს ახასიათებს, განსაკუთრებით კი ისეთ სხეულებს, რომლებიც იხმარებიან სამშენებლო მექანიკაში, მანქანათმშენებლობაში, ავიაციაში, სატრანსპორტო საქმეში და სხვ.

ძალთა სისტემის მოქმედებით ყოველი სხეული იცვლის ფორმას. იცვლება სხეულის შემადგენელ მატერიალურ ნაწილაკთა შორის ურთიერთმანძილი — სხეული განიცდის დეფორმაციას. სხეულთა ერთი ნაწილი, რომელთაც დიდი გამოყენება აქვთ ზემოხსენებულ დარგებში, ძალთა სისტემის მოცილების შემდეგ თითქმის მთლიანად აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას. ასეთ სხეულებს დრეკადი სხეულები ეწოდება. ასეთი დრეკადი თვისებები გააჩნიათ ავტომანქანების საბურავებს, რკინიგზის რელსებს, სხვადასხვა მანქანის დეტალებს, თვითმფრინავის ნაწილებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს და სხვ. დრეკადობის თეორიის საგანია ასეთი სხეულების თვისებების შესწავლა. ზემონათქვამიდან ცხადია, თუ რა დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს დრეკადობის თეორიას.

1914 წ. ნიკო მუსხელიშვილი წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტს. მას როგორც ნიჭიერსა და მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულს, ტოვებენ პეტერბურგის უნივერსიტეტში თეორიული მექანიკის კათედრაზე პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

1915 წ. პეტროგრადის ელექტროტექნიკური საიმპერატორო ინსტიტუტის შრომებში გ. ვ. კოლოსოვთან თანაავტორობით ნ. მუსხელიშვილი აქვეყნებს პირველ სამეცნიერო ნაშრომს: „ძაბვათა გავლენის შედეგად დრეკად მრგვალ დისკოთა წონასწორობა, როდესაც ძაბვები მოდებულია დისკოთა სიბრტყეებში".

შემდგომ წლებში ნ. მუსხელიშვილი დამოუკიდებლად განაგრძობს ამ მიმართულებით მეცნიერულ-კვლევით მუშაობას და ქმნის მძლავრ მეთოდს დრეკადობის თეორიის მთელი რიგი ამოცანის ამოსახსნელად.

1920 წელს ნ. მუსხელიშვილი ბრუნდება თავის მშობლიურ თბილისში და იწყებს მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920 წ. 1 სექტემბერს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო მას ირჩევს მექანიკის კათედრის გამგედ, ხოლო 29 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ირჩევს მას პროფესორის თანამდებობაზე. აღნიშნული დადგენილება მიღებულია ანდრია რაზმაძის დახასიათების საფუძველზე.

ამ პერიოდიდან დაწყებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ გაიშალა ნ. მუსხელიშვილის მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზატორული მოღვაწეობა. ანდრია რაზმაძეს, არჩილ ხარაძესა და გიორგი ნიკოლაძესთან ერთად ის სათავეში უდგება მათემატიკური კულტურისა და მეცნიერული აზროვნების სტუდენტთა ფართო კოლექტივში დანერგვის საქმეს. მათი ენერგიული მუშაობის წყალობით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მათემატიკოსთა მეცნიერული კადრების მომზადებას საქართველოში.

ოციანი წლების მიწურულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენმა მათემატიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალნენ პროფესორები ანდრია რაზმაძე (1929 წ.) და გიორგი ნიკოლაძე (1931 წ.). ამის შემდეგ მათემატიკის დარგში კადრების მომზადებისათვის ზრუნვა ნიკო მუსხელიშვილსა და არჩილ ხარაძეს დაეკისრათ. ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს მათ შესანიშნავად გაართვეს თავი.

ნიკო მუსხელიშვილის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობის დიდი აღიარება იყო ის ფაქტი, რომ 1933 წ. ის აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1939 წ. — აკადემიკოსად.

აკად. ნ. მუსხელიშვილი თავიდანვე დიდ მნიშვნელობას აძლევდა მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შექმნას. ანალიზურ გეომეტრიაში (1922 წ.), სტატიკასა (1926 წ.) და კინემატიკაში (1928 წ.) მისმა სახელმძღვანელოებმა უდიდესი როლი შეასრულეს ახალგაზრდა მათემატიკოსებისა და ინჟინრების მომზადების საქმეში.

ნ. მუსხელიშვილის მიერ დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებსა და მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანებში დაწერილ ზემოხსენებულ მონოგრაფიებზე აღიზარდნენ მთელი თაობები.

აკად. ნ. მუსხელიშვილის შრომები ხასიათდება მეთოდებისა და იდეების სიახლით, სიმდიდრითა და სიღრმით, რაც ფართო შესაძლებლობებს იძლევა შემდგომი განზოგადებებისა და ახალი გამოკვლევებისათვის. ამ შრომების გაფართოებაც ყოველთვის სამაგალითოა. ახალგაზრდა მეცნიერები ნ. მუსხელიშვილისაგან სწავლობენ მაღალ მათემატიკურ კულტურას და ურთულესი საკითხების ხელმისაწვდომ ფორმებში გადმოცემის მეთოდიკას. ის იყო ახალგაზრდების საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი. მისი დიდი პიროვნული მიმზიდველობა, უბრალოება და ჰუმანიზმი საუკეთესოდ იყო შერწყმული მაღალ მეცნიერულ მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან.

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნზე საყურადღებო რეცენზია დაბეჭდა აშშ-ის ცნობილმა სამეცნიერო ჟურნალმა „...თუმცა ამ შრომის პირველი გამოცემა 20 წლის წინათ გამოჩნდა, დროის ამ მონაკვეთში ინგლისურ ენაზე ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რაც თავისი გაქანებით შეიძლებოდეს მას შევადაროთ".

აკად. ნ. მუსხელიშვილის შრომები ძირითადად ეძღვნება თანამედროვე მათემატიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა: 1. ბრტყელი დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანები; 2. გრეხვისა და ღუნვის ამოცანები; 3. ჰარმონიულ და ბიჰარმონიულ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანები; 4. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორია და 5. კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ხსენებულ დარგში აკად. ნ. მუსხელიშვილმა მოგვცა მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომები, რომლებმაც ფართო მოწონება და საყოველთაო აღიარება ჰპოვეს როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში.

დიდია ნიკო მუსხელიშვილის დამსახურება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაარსებისა და ორგანიზაციის საქმეში.

1933 წ. ნ. მუსხელიშვილის თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც 1935 წლიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში გადავიდა და რომელიც 1941 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია. ამ ინსტიტუტს 1944 წ. მიენიჭა ანდრია რაზმაძის სახელი.

აკად. ნ. მუსხელიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში მეცნიერების უმაღლესი ცენტრის — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნის საქმეში. დაარსების დღიდან 1972 წლამდე (30-ზე მეტი წლის მანძილზე) ის იყო აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი გარდაიცვალა 1976 წელს. მადლიერმა ქართველმა ერმა მთაწმინდის მიწას მიაბარა სასიქადულო შვილი.

**ნიკოლოზ ვეკუა,**
**აკადემიკოსი.**

●

## საპატიო რედაქტორი

„ნოყიერ, მადლიან ნიადაგზე, რომელიც ნიკოლოზ მუსხელიშვილის ბრწყინვალე გამოკვლევებმა შეამზადეს, სულ ახალ-ახალ აღმონაცენს ვხვდებით...

1919 წელს გამოქვეყნდა ნ. მუსხელიშვილის ნაშრომი „ბიჰარმონიული განტოლების ინტეგრების შესახებ", რომელიც მნიშვნელოვან დასკვნებთან ერთად კერძო შემთხვევის სახით შეიცავდა დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას წრფივკრილიანი სიბრტყისათვის. გავიდა ხანი და „წრფივკრილიანი სიბრტყის შემთხვევამ" მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე მეცნიერული დარგის, — მყიფე რღვევის მექანიკის წარმოებაში...

ნ. მუსხელიშვილის შედეგების მომარჯვება ამ დარგისათვის ფასდაუდებელია. 1965 წელს დაარსდა „საერთაშორისო ჟურნალი რღვევის თეორიაში" (ინგლისურ ენაზე), რომელიც წელიწადში ოთხჯერ გამოდის... 1968 წლის პირველი ნომრიდან ნ. მუსხელიშვილის გარდაცვალებამდე ჟურნალის ყდაზე კეთდებოდა წარწერა: „საპატიო რედაქტორი ა. კოტრელი (კემბრიჯი, ინგლისი) და ნ. მუსხელიშვილი (თბილისი, საბჭოთა კავშირი)". აქ უნდა ვიცოდეთ, რომ თვალსაჩინო ფიზიკოსი ა. კოტრელი მყიფე რღვევის მექანიკის ერთ-ერთ მამამთავრად ითვლებოდა, ხოლო ნ. მუსხელიშვილს არასოდეს უმუშავია უშუალოდ ამ დარგში! აი როგორი იყო მისი სახელის ავტორიტეტი!"

**თ. ებანოიძე, „წერილები ქართველ მათემატიკოსებზე".**

●

## ილია ვეკუა:

საშუალო სკოლა ივნისში დავამთავრე და სექტემბრამდე ძალიან ცოტა დრო მქონდა საფუძვლიანი მომზადებისათვის, ცოდნის იმ ხარვეზების შესავსებად, რომლებიც სკოლიდან გამომყვა. ზუგდიდის საშუალო სკოლა, რომელიც მე დავამთავრე, ძალიან კარგ სკოლად ითვლებოდა. ჩვენ ...ვო საგანში ჩინებული მასწავლებლები გვყავდა — მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, მაგრამ არ გვყავდა მასწავლებელი ფიზიკაში. ამ საგანს არასპეციალისტი გვასწავლიდა, ამიტომ ძალიან სუსტი მომზადება მქონდა, რაც გამოცდის დროს გამომჟღავნდა. განსვენებულმა მიხეილ კუკავაძემ სრულიად დამსახურებულად ორიანი დამიწერა, მაგრამ სხვა საგნებში მაღალი ნიშნები მქონდა: მაგალითად მათემატიკა მაშინ სამ საგნად ბარდებოდა და მიხეილ კონიაშვილმა ორი ხუთიანი და ერთი ოთხიანი დამიწერა. ასევე კარგად ჩავაბარე ქართული ენა და ლიტერატურა, როგორც ზეპირში, ისე წერით ნამუშევარში კარგი ნიშნები მქონდა. მახსოვს, რომ ჩემი წერითი ნამუშევარი ბატონმა აკაკი შანიძემ გაასწორა და დადებითი ნიშანი დამიწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მახსოვს, რა ნიშანი. საბედნიეროდ, ნიშანთა საერთო ჯამი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში ჩავერიცხეთ. იმ დროს მიღების წესები შეღავათიანი იყო და ფიზიკაში ორიანის მიუხედავად, უნივერსიტეტში მაინც ჩამრიცხეს... ამ გარემოებას ჩემთვის უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. დიდი ხნის შემდეგ, როცა მე უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გავხდი (1939 წელს) ეს ამბავი გავიხსენე და ბატონ ნიკო მუსხელიშვილს ვუამბე, რაც სანანებელი გამიხდა, რადგან ბატონ ნიკოს მისთვის ჩვეული იუმორით არაერთხელ უთქვამს საზოგადოების ფართო წრეში: „ილიკო (მე ის ილიკოს მეძახდა) ფიზიკა-მათემატიკის დოქტორია, ფიზიკა კი არ იცისო" და იგონებდა ჩემ მონაყოლს, რის უარყოფაც არ შემეძლო...

...მეორე კურსზე დაგვეწყო პროფესორ ნიკო მუსხელიშვილის ლექციები თეორიულ მექანიკაში. არ ვიცი, რა მოხდა, ამ საგნის მოსმენამ მომცა გასაღები, რომელმაც უმაღლესი მათემატიკის სამყაროს კარები გამიხსნა. მეორე კურსიდან ჩემში სერიოზული გარდატეხა მოხდა, საგნებს იოლად ვსწავლობდი და საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე მესამე კურსზე, ჩემმა ამხანაგებმა ახლად დაარსებულ ფიზიკა-მათემატიკის სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ამის გამო მე პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს წევრადაც ვითვლებოდი. მაშინ ფაკულტეტის დეკანი ჯერ სიმონ ხუნდაძე იყო, ხოლო შემდეგ — კოწია სულაქველიძე, ფაკულტეტის მდივანი კი — სიმონ ყაუხჩიშვილი. ამ სამივე პირთან მე კარგი დამოკიდებულება დავამყარე, რაც ბევრჯერ გამომადგა. კერძოდ, კოწია სულაქველიძე იყო მთავარი ინიციატორი იმისა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავრიცხულიყავი, სადაც უკვე სწავლობდნენ მიხეილ ნოდია და ვიქტორ კუპრაძე. სათანადო რეკომენდაცია კოწია სულაქველიძის თხოვნით ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა მომცა. ამ რეკომენდაციამ თავისუფლად გამიხსნა კარი აკადემიკოს კრილოვთან, რომელიც დიდ პატივს სცემდა ბატონ ნიკოს, როგორც მეცნიერსა და ადამიანს...

...ჩვეულებრივ გვეკითხებიან, რა არის საჭირო მეცნიერული მუშაობის წარმატებულობის უზრუნველსაყოფად... მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი თვლიდა, რომ ამ სამი ნიშნიდან მესამე — საგნისადმი სიყვარული — გადამწყვეტია მეცნიერებაში წარმატების მისაღწევად. მეც, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ასეა.

...მე პირადად დიდად დავალებული ვარ აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისაგან არა მხოლოდ როგორც მისი ყოფილი სტუდენტი და ასპირანტი, არამედ იმითაც, რომ მასთან ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე ხდებოდა ჩემი სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა.



●

„1920 წლის აგვისტოს ბოლოს ნათელი ღიმილით ხვდება ივანე ჯავახიშვილი პეტროგრადის ახალგაზრდა მეცნიერს ნიკო მუსხელიშვილს. დიდად უწონებს რექტორი მას სამშობლოში დაბრუნებას. ნ. მუსხელიშვილი რექტორს — დიდ ისტორიკოსს — აცნობს, რომ მას სურს მომავალში ატაროს გვარი მუსხელი. ივანე ჯავახიშვილი არ უწონებს ამ განზრახვას. აღნიშნავს, რომ სხვაა, თუ მეცნიერული ფსევდონიმი უნდა, მას კი შესანიშნავი, ძველთაძველი ქართული გვარი აქვს.

ნიკო მუსხელიშვილი აღფრთოვანებულია იმ მიღებით, უნივერსიტეტის რექტორმა რომ მოუწყო. ახლა მას რეალურად ესახება ეროვნულ ნიადაგზე ახალგაზრდა მათემატიკოსთა გამოვლინებისა და დაწინაურების დიდი პერსპექტივა.

ივანე ჯავახიშვილის რჩევითა და დახმარებით ნიკო მუსხელიშვილმა სულ მალე არა თუ ქართულად დაიწყო ლექციების კითხვა, არამედ იგი ინტენსიურად ჩაება მათემატიკური, ფიზიკური და ტექნიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში.

ივანე ჯავახიშვილი აქტიური მხარდამჭერია ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული წინსვლისა. 1922 წლის გაზაფხულზე თბილისის უნივერსიტეტი ფრანგულ ენაზე აქვეყნებს ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიას „კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი პრობლემის შესასწავლად".

ამ წიგნმა საქვეყნოდ დაადასტურა სრულიად ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური დონე და მსოფლიოში სახელი მოუხვეჭა ავტორს".

**სერგო ჟორბენაძის წიგნიდან „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა".**

●

## კომენტარის გარეშე

„გუშინ, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შედგა ტფილისის მეცნიერ მუშაკთა საქალაქო კრება, რომელმაც განიხილა ყოფილი აკადემიკოსის ნ. ლუზინის კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოტე გორდელაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა: სოციალიზმის გამარჯვების პირობებში მუშათა კლასის მტრებს არ შეუძლიათ აშკარა გამოსვლა სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, ამიტომ ისინი ცდილობენ საბჭოთა ნიღაბ ქვეშ აკეთონ ანტისაბჭოთა საქმეები, როგორც ეს ლუზინმა ჩაიდინა. ლუზინის მავნებლური მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მეცნიერულ ნაშრომებს ბეჭდავდა უცხო ენებზე და ბურჟუაზიული მეცნიერებისადმი მონურ დამოკიდებულებაში იყო.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერ მუშაკთა შორისაც არიან ისეთები, რომლებიც გაურბიან, რომ თავიანთი ნაშრომები საბჭოთა კავშირის ერების ენაზე გამოსცენ. მაგალითისათვის ავიღოთ დოცენტი რუხაძე, რომელსაც აქვს სულ 3 შრომა და სამივე უცხო ენაზეა გამოცემული, პროფესორ მუსხელიშვილის 30 შრომიდან 16 უცხო ენაზეა გამოცემული, 12 რუსულ ენაზე, 2 ქართულ ენაზე. იგივე ითქმის პროფ. ნუცუბიძეზე, პროფ. კანდელაკზე და სხვ".

**„ლუზინშჩინის წინააღმდეგ"**
**გაზეთი „კომუნისტი"**
**1936 წ. 24 ივლისი**

●

იყო დრო, როცა ჩვენი ხალხის მტრები ამტკიცებდნენ: ქართველებს ჭკუა არ ეყოფათო მათემატიკური მეცნიერების შესათვისებლად. საბედნიეროდ, მათი მტრული ყრანტალი გაცუდდა. საქართველოს ჰყავს დღეს ისეთი მათემატიკოსები, რომელთაც მსოფლიო რეზონანსი აქვთ მოპოვებული: აკადემიკოსები ვ. კუპრაძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, ი. ვეკუა და სხვანი.

...მე მქონდა შესაძლებლობა ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გავცნობოდი და დავმეგობრებოდი დიდ მათემატიკოსებს....

1923 წელს მე შევხვდი ჩვენს სახელგანთქმულ მათემატიკოსს, აწინდელს ჩვენს პრეზიდენტს, აკადემიკოსს ნ. მუსხელიშვილს, პარიზში.

მე მისგან მიმიღია მრავალი შთაგონება.

**კონსტანტინე გამსახურდია**

**წინამდებარე ორი მოგონება ერთმანეთის გაგრძელებაა. პირველის ავტორია ილია ვეკუას მოსწავლე, პირველი ქართველი დოქტორი ქალი მათემატიკაში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ელენე ობოლაშვილი, მეორე მოგონება კი ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დავით ჩხიკვიშვილს.**

1.

იმჟამად, ქართველ მათემატიკოსთაგან მხოლოდ ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1958 წლის მარტში ამ მაღალი სამეცნიერო წოდების მფლობელი გახდა კიდევ ერთი ქართველი: მათემატიკაში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის აღიარება და პატივი წილად ერგო ილია ვეკუას.

საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით ბატონმა ილიამ მოსკოვში სასტუმრო „სოვეტსკაიას" ერთ-ერთ დარბაზში დიდი წვეულება გამართა. ბედნიერება მხვდა დავსწრებოდი ბანკეტს, რომელსაც მეცნიერების მრავალი, როგორც ღვაწლმოსილი, ისე ახალგაზრდა კოლეგა ესწრებოდა. სტუმართა შორის იყვნენ: ანატოლი ალექსანდროვი, ვიქტორ ამბარცუმიანი, ნიკოლოზ ბოგოლიუბოვი, მსტისლავ კელდიში, მიხეილ ლავრენტიევი, ალექსანდრე ნესმიანოვი, პეტრე კაპიცა, ლევ ლანდაუ...

იმ დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ცხადია, ილია ვეკუამ მიიპატიჟა ქართული კულტურის უნიჭიერესი წარმომადგენლები, რომლებთანაც მას ყოველთვის გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. ქართველ მოღვაწეთა სტუმრობამ ზღაპრული სილამაზე და სიმშვენიერე მისცეს ბანკეტს. აქ იყვნენ: პეტრე ამირანაშვილი, აკაკი ხორავა, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია...

როდესაც ბატონმა პეტრემ ოპერა „დაისიდან" „დამისხი დამალევინე" ბრწყინვალედ შეასრულა, დარბაზში ოვაციებს საზღვარი არ უჩანდა...

თამადად ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო.

2.

ყველა ჩვენთაგანი თანაუგრძნობდა ბატონ ნიკოს აბა მოდი და ითამადე ასეთ სუფრაზე..

ბატონი ნიკო რაღაც არაჩვეულებრივი ნიჭისა და იუმორის ადამიანი იყო და მან საოცარი გამოსავალი ნახა ამ რთული ვითარებიდან.

მან თავიდანვე განაცხადა, რომ, რადგან სუფრაზე მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები არიან წარმოდგენილნი, იგი პერსონალური სადღეგრძელოების დროს გამოიყენებს სამ ეპითეტს: «За выдающихся», «За блестящих» и «За невыдающихся ученых и деятелей культуры». «Выдающихся» ეს ის მეცნიერებია, რომლებსაც მე ეხლა აქედან, თამადის პედისტალიდან ვხედავო, „блестящие" ვისაც თმა ადრე დასცვენია და თავი უბრწყინავს, ხოლო „Невыдающиеся" ისინი, რომლებსაც რადგანაც სუფრა ძალიან დიდია, მე ვერ ვხედავო.

აი, ამ მოხერხებული, უწყინარი და მეგობრული იუმორით იგი ადღეგრძელებდა ყველას, მიუხედავად იმისა, რომ, მართლაც, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები ხშირად ხვდებოდნენ „Невыдающиеся" ეპითეტის ქვეშ, ხოლო აკადემიის უბრალო ჩინოვნიკებს ბატონი ნიკო „выдающиеся" მეცნიერად მოიხსენიებდა. წყენის ნაცვლად, საერთო აღფრთოვანებასა და უზარმაზარ პატივისცემას იწვევდა ბატონი ნიკოს სიტყვები.

ვიჯექი მაგიდასთან და ნათლად ვხედავდი, რომ ბატონი ნიკო მეცნიერთა ამ თანავარსკვლავედშიც ერთ-ერთი ყველაზე მოელვარე ვარსკვლავი იყო.

**რედაქცია მადლობას უხდის თემატური გვერდის მასალების მოწოდებისათვის ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატების — „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" რედაქტორს ბატონ კახმევ კუდავას.**

---

# ...მე შევძელი ყველაფერი გამეკეთებინა!

ინგლისში კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და თეორიული ფიზიკის განყოფილებაში მუშაობს ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი სტივენ ხოკინგი.

საოცარია, მაგრამ საშინელი სინამდვილეა, რომ იგი ფაქტიურად სრული ხეიბარია, მას არ შეუძლია არც მოძრაობა და არც ლაპარაკი. მიუხედავად ამისა მისი შრომები მიეკუთვნება თანამედროვე ფიზიკის ყველაზე მნიშვნელოვან დარგს — ველის ზოგად თეორიას, რომელმაც უნდა აღწეროს მთელი ჩვენი სამყაროს განვითარებისა და არსებობის სრული სურათი.

ამ თეორიას თითქმის 65 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკის მამამთავარმა — ალბერტ აინშტაინმა.

ზოგიერთი ცნობა სტივენ ხოკინგის შესახებ:

21 წლის ასაკში სტივენმა ბორძიკი დაიწყო სიარულის დროს, ხოლო 30 წლისა ავადმყოფობამ იგი საინვალიდო ურიკას მიაჯაჭვა. მისი მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ოთხი წლის წინ ექიმები იძულებული იყვნენ ამოეჭრათ მისთვის ტრაქეა, რითაც მან ლაპარაკის უნარიც დაკარგა. იგი სუნთქავს ყელში გაკეთებული ნახვრეტიდან. ნერწყვი ყოველგვარი კონტროლის გარეშე გამოიყოფა, რის გამოც მცირედი ხველაც კი მთელი სხეულის საშინელ კონვულსიებს იწვევს.

სტივენ ხოკინგს შერჩა მხოლოდ თავისა და ხელების მოძრაობის უნარი და რაც საოცარია, ტვინის წარმოუდგენელი მუშაობის თვისება. მასთან შეხვედრისას თქვენ დაინახავთ უბრალო ტანისამოსში ჩადებულ ადამიანის ჩონჩხს, რომელიც ინვალიდის სავარძელში დევს. ამ სავარძელს აქვს მოძრაობის საშუალება, რასაც კომპიუტერი მართავს. სტივენის მარცხენა ხელი მართავს ურიკის მოძრაობას, ხოლო მარჯვენა ხელი მოთავსებულია კომპიუტერის კლავიშებზე, რომელთა საშუალებითაც სტივენი წერს სიტყვებს ეკრანზე, ხოლო შემდეგ სათანადო „ბრძანებით" გადაჰყავს ისინი ხმოვანებაში. ე.ი. სტივენს გარემო სამყაროსთან კავშირი შეუძლია „ჩვეულებრივ" როგორც წერით — ეკრანზე, ასევე ხმით — მიკროფონით. ბოლო პროცესი მართალია ცოტა ნელია სულ ათი სიტყვაა წუთში, მაგრამ ურთიერთობა ჩქარდება, თუ ჩვენ სიტყვებს პირდაპირ ეკრანიდან ვკითხულობთ.

სტივენის დაავადება — მოძრაობის ნეირონების გადაგვარებაა, რაც 25 წლის მანძილზე ნელნელა ვითარდება და ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება.

მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს ხეიბარი-მეცნიერი დროდადრო ლექციებსაც კითხულობს. მის ლექციებს 300-მდე მსმენელი ესწრება; ესენი არიან სტუდენტები, ასპირანტები, მეცნიერ მუშაკები და გარეშე პირებიც კი.

იგი ლექციაზე თავის ავტომატურ სავარძელით მიდის, ჩვეულებრივ მას თან მიჰყვებიან ორი მეცნიერი თანამშრომელი, მედდა და ჟურნალისტი. სახლიდან აუდიტორიამდე სტივენი საკმარისად ჩქარა მოძრაობს, რაც ძალიან უყვარს. მას თითქმის არა აქვს შიშის გრძნობა. მისი თანხმლები პირები ძლივს ასწრებენ მასთან ერთად მოძრაობას.

ხოკინგის ლექციის ფორმაც განსაკუთრებულია. მას ლექციის ყველა სიტყვა შეჰყავს კომპიუტერის მეხსიერებაში, ხოლო შემდეგ სიტყვები გადაჰყავს ეკრანზე. გადაყვანის სიჩქარეს იგი არეგულირებს მმართვის პულტის საშუალებით. ლექციის დროს ერთ-ერთი მისი თანაშემწე დიაპო — სიტყვებს აჩვენებს ლექტორის უკან მოთავსებულ ეკრანზე. როგორც წესი, სტივენის ლექციების შინაარსი მარტივია. მათი მიზანია სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე წარმოდგენა ფიზიკაზე.

ლექციების გარდა თავის შრომებს ხოკინგი თავის ტვინში აყალიბებს, ამ დროს მის აზროვნებას არ აწუხებს ცხოვრებისეული ფიქრები და სურვილები.

ცხადია, რომ ხოკინგის შრომების მათემატიკური გაფორმება გაცილებით რთულია, ვიდრე მისი ლექციების შინაარსი. აქ მას სპეციალური კომპიუტერული პროგრამა „ტეკ"-ი ეხმარება. მათემატიკური გამოსახულება სიტყვიერი ფორმებიდან სიმბოლოების ენაზე გადაჰყავს, რაც საკმარისად რთულ პროცესს წარმოადგენს.

მსოფლიოში სტივენ ხოკინგმა სახელი გაითქვა 1988 წელს, როცა გამოქვეყნდა მისი წიგნი „დროის მოკლე ისტორია". ეს იყო პოპულარული წიგნი, მათემატიკური ფორმულების გარეშე, გამიზნული რიგით მკითხველზე.

ამ წიგნის შესახებ თვით ავტორი ამბობს, რომ „მას მოსწონს ახსნას ის რასაც ის აკეთებს". ამის შემდეგ მან დაწერა კიდევ ერთი წიგნი წმინდა მეცნიერული ხასიათისა, რომელშიც იგი რთულ მათემატიკურ აპარატს იყენებს.

შეკითხვაზე ექნება თუ არა დასასრული მეცნიერებას, სტივენი პასუხობს: „მე ვფიქრობ, რომ ამას აზრი აქვს მხოლოდ სხვა სამეცნიერო დარგებში, მაგალითად ქიმიასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში, რადგანაც ისინი ფიზიკაზეა დაფუძნებული, ფიზიკას კი ჩვენ საკმარისად ვიცნობთ იმისათვის, რომ ვიწინასწარმეტყველოთ ამ მეცნიერების სრული განვითარება".

კითხვაზე ძალიან თუ არა გავლენა მისმა ავადმყოფობამ პროფესიის არჩევაზე, სტივენი პასუხობს: „ალბად არა, მე ხომ ამ დარგში მუშაობა მანამდე გადავწყვიტე, ვიდრე გავიგებდი, რომ ავად ვიყავი". „მე შევძელი, მიუხედავად ავადმყოფობისა, ყველაფერი გამეკეთებინა, რაც კი მსურდა და ეს სავსებით მაკმაყოფილებს მე".

შეკითხვაზე, აქვს თუ არა მას შიში, რომ იგი ისე მოკვდება, რომ თავის ნაშრომს ვერ დაასრულებს, სტივენი პასუხობს: „მე არასოდეს არ ვიყურები ძალიან შორს მომავალში, ჩვენი შრომა საერთოა და არიან ბევრი სხვა ფიზიკოსები, რომლებიც მას გააგრძელებენ".

სტივენი ოჯახის მეთაურია. ცოლი მან 1965 წელს შეირთო, მისი მეუღლე ჯეინი მასწავლებელია, იგი ცოლად გაჰყვა ადამიანს, რომელსაც შესაძლებელია მხოლოდ რამოდენიმე წელიწადი ეცხოვრა. სტივენსა და ჯეინს ყავთ სამი შვილი, ასე რომ, ჯეინს საზრუნავი არ აკლია. იგი უბრალოდ უყურებს იმას, რომ იგი ასეთი სახელგანთქმული ადამიანის მეუღლეა. იგი თვლის, რომ მისი მოვალეობაა იზრუნოს ოჯახზე, ავადმყოფ ქმარზე და ხშირად გაახსენოს მას, რომ იგი ღმერთი არ არის.

დაბოლოს რამოდენიმე სიტყვა სტივენ ხოკინგის სამეცნიერო ინტერესების შესახებ. ცნობილია, რომ ყველა მოვლენა ჩვენს უსაზღვრო სამყაროში ოთხი ძირითადი ურთიერთქმედებით აიხსნება. ეს არის გრავიტაციული, რომელიც ვლინდება სხეულების ურთიერთმიზიდულობით, ელექტრომაგნიტური-ელექტრული და მაგნიტური-ბირთვული ძალებით გამოწვეული და სუსტი, რომელიც განაპირობებს ნაწილაკების და ბირთვების დაშლის პროცესებს, რადიაქტივობის მოვლენას.

ურთიერთქმედების ყველა ამ სახეს თავისი შესაბამისი თეორიაც აქვს. ჯერ კიდევ ალბერტ აინშტაინმა გადაწყვიტა შეექმნა ისეთი საერთო უნივერსალური თეორია, რომელიც როგორც კერძო შემთხვევას განიხილავდა ყველა ამ სახის ურთიერთქმედებას.

ჯერჯერობით ფიზიკოსებმა შესძლეს შეექმნათ ისეთი თეორია, რომელიც აერთიანებს ელექტრომაგნიტურსა და სუსტ ურთიერთქმედებების პროცესების ახსნას. ძირითადი პრობლემაა, რათა ამ ელექტროსუსტ ურთიერთქმედების თეორიას დაემატოს ძლიერი და გრავიტაციული ურთიერთქმედების თეორიაც. მაშინ სავსებით გადაჭრილი იქნება ეს გრანდიოზული ამოცანა — შეიქმნება ურთიერთქმედების უნივერსალური თეორია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ჩვენს სამყაროში მიმდინარე თუ ადრე მომხდარი ყველა მოვლენა. აი ამ მიზანს ისახავს ამ გასაოცარი ადამიანის, ხეიბარ-მეცნიერის სტივენ ხოკინგის მოღვაწეობა.

**ლევან ბედევანიშვილი**

ეს საინტერესოა

ფიზიკოსები და თანამედროვეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იმირ მამედოვი**

# ღიმილიანი ფიქრები...

(პოემა)

...გადაშლილი მაქვს მთელი ცხოვრება,
ვით გაზეთ „პრავდას“ ძველი ნომერი,
რომელშიც ჩემზეც წერია რაღაც, —
და მახსენდება დღეები, როგორც
სადღაც გაცნობილ ქალთა ღიმილი;
შემეძლო, მეთქვა; „სახეები“, ანდა „თვალები“,
მაგრამ ო, არა, მე ღიმილი უფრო მახსოვს
აწ ჩავლილ დღეთა.
მიუხედავად იმისა, რომ
ზოგი გავიცან გაჭირვებისას,
ზოგი არსაით მიმავალ გზაზე,
ზოგი შრომის ჟამს,
ზოგი ცნობების შეგროვებისას
იმის, შესახებ, რომ ვარსებობ, რომ მართლა ვცხოვრობ
აქა და აქ არსებულ სახლში,
რომ მოჩვენება, ან ჩრდილი, ან ლანდი არა ვარ.
ანდა იმის თაობაზე, რომ მყავს ორი შვილი
(თანაც ნამდვილად).
რომ ჩემი ცოლი კანონიერი მეუღლეა
და ასე შემდეგ...
...ჰო, ზოგი დღე კი გავიცანი გზად მიმავალმა,
ხან რეალურად. ხან კიდევ ფიქრში გზადმიმავალმა...—
აშკარად მახსოვს, ის უცნობი დღე
შემთხვევით შემხვდა; —
ჯერ გამიწყრა, ვით დაკარგულ და ნაპოვნ პირუტყვს —
შე, ისეთო, შე, ასეთო!-ო
მერე შემომკრა მან მარცხენა ყურის ძირში და
ეგონა ეხლა მარჯვენას კი თვით მოვუშვერდი;
ის კი მოტყუვდა,
და მომიქნია რაც ძალი და ღონე ჰქონდა მეორე ყბაში,
და ვინაიდან მე ის ლოყა არ შევაგებე,
სივრცესა სტკიცა!
სივრცეგამწყრალი ჩემი მოდავე
დაბროწიალდა და დაენარცხა
და დაემართა,
რაც ემართება კაცს მომჩივარსა...
მაშინ კი მივხვდი ჩემს დანაშაულს,
გულში რაღაც ჩამიწყდა მყისვე, —
წავა და დაწერს·
„მარცხენაში შემოვცხე, მაგრამ
მარჯვენას კი აღარ მიშვერს-ო“...
განცხადება არ დაიწეროს, —
რადგან, ხშირად, განცხადება განაჩენია.
(ასე ამბობს ათში შვიდი მეგანცხადე)
უნდა ეცადო, არ დაიწეროს,
თუ დაიწერა, ვერ გაექცევი,
ვით ნადირი დაგებულ მახეს,
რომლისკენაც მძორის სუნი მიათრევს საწყალს.
მან კი დაწერა;
ერთი სიტყვით,
საბრალდებო საქმეც რომ დამსვეს,
ბრალდებაო? ბრალდებაზე იოლი რაა? —
(ბრალდებაა მწუხარებით თქმული ყოველი სიტყვა),
მარჯვენა ლოყა... ამცდარი ხელი... და ასე შემდეგ...
მოვიდა ჩემთან, შემომღიმილა
და ღიმილითვე ღიმილიანი სიტყვებით მითხრა,
„მოდი, გავიცნოთ ერთი-მეორე,
შენი ბრალია, არ მიცნობდი და
ყველაფერი მიტომ გადაგხდა, —
ძმაო, არცოდნა მართლა არცოდვა კი არ გეგონოს.
ახლა მიცნობდე, და სიკვდილამდე არ დამივიწყო,
როგორც ცხვარს მგელი,
მგელს ფარის ძაღლი არ ავიწყდება!
არ დამივიწყო, თორემ მეტი დაგემართება.
და ღიმილ-ღიმილ დამემშვიდობა;
ძლივს გადავურჩი და მას მერე ასე მგონია,
სულ მითვალთვალებს,
არც მას არასდროს არ ვავიწყდები,
როგორც ძაღლს მგელი,
როგორც მგელს ცხვარი
არ ავიწყდება...
...ოჰ, მისი ნახვა და გაცნობა არასოდეს დამავიწყდება,
ცრემლებს სახიდან ღიმილით მწმენდდა...
და ღიმილითვე მეუბნებოდა,
„ამის მერე ვიცნობდეთ ერთ-ურთს“.
რატომ ვტიროდი? —
არა, არა მის გაცნობაზე ვერ მოგიყვებით,
რატომ?
იმიტომ, რომ არ ვუმხელ საკუთარ თავსაც...
...ოჰ, ის დღე,
ის დღე მართლაც საოცარია,
როგორ შევხვდით და გავიცანით ერთი მეორე —
„მოდით ჩემთან“! — ჩამესმა ყურში,
თურმე მეძახდა კაბინეტიდან,
მდივანმა მისმა რომ დამინახა,
შედით! მითხრა.
დილას აქეთი გეძებთ, შენი გაცნობა უნდა!
შევედი, ვხედავ, ზის და მიყურებს
ძალზე პირქუშად, მკაცრი თვალებით...
არ იღიმება,
ღიმილს ნასახს ვერ შეამჩნევ გამშრალ სახეზე,
მე კი კარგად ვგრძნობ,
ვგრძნობ კი არა, თვალნათლად ვხედავ,
იღიმება, იღიმება სიმკაცრის იქით,
სალაპარაკო ენაზე რომ ვთქვათ —
გულში იცინის...
„მიცნობო“? — მკითხა
„არა-მეთქი“, გავიფიქრე და
სანამ ხმამაღლა ვიტყოდი ამას,
„მაშ გავიცნოთო“ — მკაცრადვე მითხრა,
ვიფიქრე, „დიდი სიამოვნებით“.
სანამ ვეტყოდი,
„დაეგდე“! — მითხრა, და გააგრძელა, —
„შენ ის არ იცი, რაც კარგად იცი!
შენ არ გეკუთვნის ის, რაც შენია!
შენ ცხოვრებაში, თუ სამსახურში თუ კი რაიმე დაიმსახურე,
ზუსტად ის არ დაიმსახურე!
შენში რაც კარგი მოიპოვება,
ისაა ცუდი!
რაც ლამაზი გაქვს გულსა და თავში
ის გამახინჯებს!
შენი ღირსება
ნაკლია შენი!
როცა შენ ამბობ გენაცვალეო,
შენ იგინები.
ერთი სიტყვით, შავტუხა ბიჭო,
რაც შენში არის რაიმე თეთრი,
ზუსტად ის თეთრი შავია,
შავი!
გასაგებია?!
კი გავიფიქრე, „არაო!“ მაგრამ
მან უცებ ისე „დიდსულოვნად“ გამიღიმა, რომ
„არა“ — ფიქრშივე რბილ „დიახად“ გადამიკეთდა.
და ღიმილშივე ღიმილიანი სიტყვებთ მითხრა, —
„მაშ თუ რაც გითხარ, გასაგებია,
დაიმახსოვრე და მეც მიცნობდე,
აბა, რაც ითქვა, არ დაგავიწყდეს,
თორემ მე და შენ კიდევ შევხვდებით“.
მეც ღიმილითვე — „ნახვამდის-მეთქი“ —
დავემშვიდობე.
მაგრამ მას შემდეგ მთელ ჩემს ცხოვრებას
იმის გარკვევას ვანდომებ მხოლოდ,
რაც იმან მითხრა მართალია თუ მონაჭორი...
...როგორც გითხარით, ზოგი კიდევ გზად გავიცანი... —
ღიმილიანი დუმილით შემხვდა;
იმირა! — როცა ვუთხარ სახელი,
მანაც თავისი სახელი მითხრა, ოღონდ დუმილით,
მერე სულ დუმდა მთელი ბილიკი,
თანაც ერთ წუთსაც არ ჩუმდებოდა,
ლაპარაკობდა, მხოლოდ დუმილით.
და მე მზარავდა,
რამეთუ ჭრელი გველის მზერა ჰქონდა მის დუმილს; —
წკაპ! და შხამი ეცემოდა ჩემს მოთმინებას,
წკაპ! და შხამი ეცემოდა ჩემს სითამამეს,
წკაპ! და შხამი ეცემოდა ჩემს ვაჟკაცობას; —
მდუმარე გველის მდუმარ ენიდან
მეცემოდა წვეთ-წვეთად შხამი;
და მე ვცურავდი დუმილით სავსე შხამის გუბეში,
„მოდი ჩამოვსხდეთ“, — მეუბნებოდა (ოღონდ დუმილით)
ტანი მიგრძნობდა: — „იდექი, ნუ გაინძრევიო!“
„სიგარეტი ხომ არა გაქვსო“, — მეუბნებოდა!
გული მიგრძნობდა: — „სულსა გთხოვს ბოლად,
არა, არ მაქვს-თქო, თქვი და გათავდეს!“
„ადე, წავიდეთ, თორემ აგერ შემოგვაღამდა“,
ამბობდა, თუმცა ფეხები სულ მევედრებოდნენ,
„ნუთუ ვერა გრძნობ, გზა, გზა გათავდა,
ცეცხლის ენას მივყვებით სადღაც,
ღავიწვით, გვეყო!“
ის კი იდგა და მიყურებდა გაღიმებული,
წკაპ! — და შხამი ეცემოდა ჩემს სითამამეს,
წკაპ! — და შხამი ეცემოდა ჩემს ვაჟკაცობას
წკაპ! — და შხამი ეცემოდა ჩემს მოთმინებას!
და მოთმინებადაკარგულმა
მხოლოდ ერთხელ ჩავყვინთე შხამის მდუმარ გუბეში,
მას კი ეგონა, — ჩაიხრჩოვო, მორჩა, გათავდა...
და შევამჩნიე გამჭვირვალე
შხამის სითხიდან —,
ღიმილით როგორ განშორდა გუბეს...
...ვით მოგახსენეთ ზოგი სად, ზოგიც კიდე სად გავიცანი,
ძალზედ ბევრი იყო, ისეთი
რომ არც ვიცნობდი,
წრფელი ღიმილით მეხმარებოდა,
რათა გამეძლო გასაძლისათვის. —
მხოლოდ მერე მეცნობებოდა
და მშორდებოდა. —
ა, მაგალითად ის, რომელიც
დამეხმარა შხამის გუბიდან
ფუვნებელი,
განწმენდილი ამოვსულიყავ.
ღიმილით მითხრა (წმინდა ღიმილით):
ეს რა დღეში ხარ ჩავარდნილი, უცნობო, ძმაო,
გამოცდილს ჰგავხარ,
ცოტა ფრთხილად იარე ხოლმე ამ დანაღმულ ქვეყანაზეო.
მერე წავიდა...
ეჰ, როგორ ფრთხილად, თუ ეს ოხერი
ღიმილი ღიმილს ისე გავს, როგორც
ორი კაკალი — ფუჭი და საღი...
...გადაშლილი მაქვს მთელი ცხოვრება,
ვით გაზეთ „პრავდას“ ძველი ნომერი,
რომელშიც ჩემზეც წერია რაღაც, —
და მახსენდება დღეები, როგორც
სადღაც გაცნობილ ქალთა ღიმილი;
შემეძლო, მეთქვა; „სახეები“ ანდა „თვალები“,
მაგრამ არა, მე ღიმილი უფრო მახსოვს
აწ ჩავლილ დღეთა...

## ქრონიკა, ინფორმაცია, განცხადება

1991 წლის 18 თებერვალს 14 საათზე საქართველოს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში, დავით აღმაშენებლის 61, შესდგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. ინფორმაცია საკრებულოს არჩევნების შესახებ (მომხსენებელი ლევან მესხი). რეგიონის თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.
2. საქართველოს ზღვისპირეთის დაცვისადმი მიძღვნილი პლაკატების საბავშვო კონკურსის ჩატარების შესახებ (მომხსენებელი საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაციის „აიეტის“ თავმჯდომარე ჰენრი კუპრაშვილი).
3. საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდული საქველმოქმედო საზოგადოების „საქართველოს“ თავმჯდომარის გიორგი ადიკაშვილის მოხსენება.
4. ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ თავკაცის დავით ხომასურიძის მოხსენება.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნო**

---

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „წუთისოფელზე“, მარტიდან მკითხველები სახლში მიიღებენ საქართველოს მიწათმოქმედთა და უძველეს ტრადიციათა აღდგენის ხელშემწყობ გაზეთს.

„წუთისოფელი“ საქართველოს ამერ-იმერში, ლიხს იქითურ და ლიხს აქეთურ საუფლოში გააცოცხლებს მიწის სიყვარულს, ხელს შეუწყობს ერში დავიწყებული ცოდნის გაღვიძებას. საკულტო, სამიწათმოქმედო, სამოქალაქო და სამხედრო ჩვევათა აღდგენა-დაბრუნებას.

ძვირფასო მკითხველო, გამოიწერეთ „წუთისოფელი“. გპირდებით, რომ გაზეთი არ დაგტოვებთ გულგრილსა და იმედგაცრუებულს.

გაზეთი გამოდის თვეში სამჯერ.

ხელმოწერის ფასი ერთი თვით არის 90 კაპ.

სამი თვით — 2 მან. 70 კაპ.
ექვსი თვით — 5 მან. 40 კაპ.
ერთი წლით — 10 მან. 80 კაპ.

---

ვიზებისა და სხვა დოკუმენტების სწრაფად თარგმნის მსურველებს შეუძლიათ, ეწვიონ კოოპერატიულ ფირმა „ადონისს“. მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №29, ფირმა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა, 10 საათიდან 18 საათამდე.

---

**9 თებერვალს** სოხუმში შედგა კონფერენცია, რომელზეც დაფუძნდა აფხაზეთის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია. ის უშუალოდ ცენტრს, ანუ მოსკოვს დაექვემდებარა. ლენინური ახალგაზრდული ორგანიზაციის დაარსებას ხელი ვერ შეუშალა იმან, რომ მას ესწრებოდნენ მხოლოდ არაქართველი ახალგაზრდები.

ერთი რამ ცხადია, კომკავშირული იდეალების ერთგულება და კომკავშირული ორგანიზაციის მკვდრეთით აღდგომა ალბათ პირველი ნაბიჯია „ახალგაზრდული ინტერფრონტის“ ჩამოყალიბებისა და რესპუბლიკის ახალგაზრდობას შორის კონფრონტაციის გაღრმავების გზაზე. ამგვარი პროგნოზის უფლებას კი ის უთანხმოებაც იძლევა, რაც თან ახლდა აფხაზეთის რესპუბლიკის კომკავშირის ჩამოყალიბების პროცესს.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის პრესცენტრი**

---

### გიწვევთ მიტინგზე

ა. წ. 18 თებერვალს, დღის 4 საათზე, ოპერის თეატრის წინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აწყობს 1989 წლის 18 თებერვლის მანიფესტაციის დარბევის 2 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგს, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდაიცვალა ელდარ კერძევაძე



ქართველ მწერალთა ოჯახს გამოაკლდა ერთი ჭეშმარიტი პოეტი, კაცი, რომელმაც უნიღბოდ გაატარა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე რეალურ ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც. მისი ცხოვრების დასრულებიც ადასტურებს იმას, თუ როგორი იყო ელდარ კერძევაძე. უგულო კაცები გულით არ კვდებიან. ელდარ კერძევაძეს კი სწორედ გულმა უმტყუნა. უდარდელი კაცის იერით დადიოდა. სიკვდილთანაც კი შეთამამებული იყო, მხოლოდ ხანდახან თუ გაამხელდნენ მისი ლექსები პოეტის სევდასა და ზოგჯერ უკიდურესობამდე მისულ სასოწარკვეთას. სწორედ დღეს სჭირდებოდა საქართველოს მისნაირი, მოყვასისათვის სიკეთის უშურველად გამღები, უღალატო, თანგანწირული, თავისი ქვეყნის მოყვარე და მისი მომავლის მოიმედე კაცი. სამწუხაროდ, არ დასცალდა. ნუგეშად მხოლოდ მისი შემოქმედება რჩება, რომელსაც კვლავაც მრავალ წელს ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

●

ელდარ კერძევაძის ცხედარს, კვირას, 17 თებერვალს 15 საათსა და 30 წუთზე საქართველოს მწერალთა სახახლიდან (ი. მაჩაბლის ქ. № 13) გადაასვენებენ ქაშუეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს საბურთალოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

### ფრთხილად, ბიჭებო, ფრთხილად!

რაიც ბახალას შვენის, —
არ ეკადრება მართვეს,
— ფრთხილად! —
ჭირიმე თქვენი,
— ფრთხილად! —.
სიმშვიდე გვმართებს.
სიმართლე რეკავს ზარებს,
ქრება დრო ულიმღამო,
— ფრთხილად! —
შინა და გარეთ,
— ფრთხილად! —
დღითა და ღამით.
ჩვენი ჯიში და გენი
ღმერთს არ სურს გასაწირად,
მაგრამ,
ჭირიმე თქვენი —
— ფრთხილად, ბიჭებო,
ფრთხილად!

### ვერაფერი გავიგე

ყვირის ნაცარქექია:
— ლოდი მხარზე გაიდე!....
რა აყვირებს ამ საწყალს, —
ვერაფერი გავიგე.
სასახლე აიშენა,
ჩემთვის ქოხი ავიგე.
მაინც მე მემტერება, —
ვერაფერი გავიგე.
მისთვის მსურდა სიკეთე, —
დამაყარა შავი დღე,
მაინც ვერ გავიმეტე,
ვერაფერი გავიგე.
ამდენ ქლესას ვუყურებ,
ამდენ სულით ღარიბებს,
ბრძენი მტერთან კურკურებს, —
ვერაფერი გავიგე.
მოსვლა ვერ მოვასწარი, —
უკვე უნდა წავიდე...
ღმერთო, შენ მაპატიე, —
ვერაფერი გავიგე.

### ლალუტას

ღვილვა ვარ და ღვილვურად
ვცხოვრობ, —
ჩემს გზას მივყვები,
ქირქილებენ ბრიყვულად
გამოცდილი ბრიყვები..
ბოლმით და უნიჭობით
ყელამდე ალსავსენი —
ოფლნადენი კიჭებით
მკბენენ გაალმასებით...
კბენა მათი, ლალუტა,
არის ჩემთვის ხიცინი,
ჩემი სიკვდილი უნდათ
და მეც ვკვდები... სიცილით.

### შეძახილი, ჩემთვის, ჩუმად...

ვინც დღეს ასე გვჭირდება —
იგი წევს სამარეში.
ვისაც უნდა ესმოდეს, —
სწორედ იმას არ ესმის.
იკარგება თანდათან
თავგანწირვის ხალისი.
მცირე შანსიც არა ჩანს
რამე დიდის გარისკვის...
აბა, როგორ აგიხსნა,
რასაც ვგრძნობ და განვიცდი.
საწვიმარ ღრუბელსა ჰგავს
დილით ჩემი ბალიში...

### ვითომ სახუმარო სტრიქონები

ხაჭოსი და არაყანის
ჯერ არ დამდგომია ჟამი,
რადგან არ მომიკლავს თავი
ღვინის სმით და ხორცის ჭამით.
არა, სხვისი კარგად ყოფნა
გულს არ დამჩნევია ბზარად,
ასი წელიც არ მეყოფა,
ზურგში თუ არ ჩამცეს დანა.
არც ათეროსკლეროზი მაქვს
და არც წნევა არ მაწუხებს,
არ ეტყობა ეროზია
სხეულს,
ცრემლიც არის მწუთხე.
არ იფიქროთ ვინმეს ვჯობდე,
ამ ლექსს ახლა ვამბობ ისე...
თორემ მე რომ მიჭირს ზოგჯერ, —
ისე თქვენ მტერს გაუჭირდეს.

# პირველი ჩემპიონი ემზადება...

**ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვეღა დარჩა. უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდებიც საგულდაგულოდ ემზადებიან ახალი სეზონისათვის. ზოგი შავიზღვისპირეთში გადის წვრთნას, ზოგმა კი ადგილზე ამჯობინა დარჩენა. სწორედ ამ საკითხზე და კიდევ სხვა პრობლემებზე გვქონდა ამას წინათ საუბარი ეროვნული ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულის — თბილისის „იბერიის" მთავარ მწვრთნელთან ბატონ დავით ყიფიანთან.**



**— ბატონო დავით, პირველ რიგში, ჩვენც და „ახალგაზრდა ივერიელის" მკითხველს თქვენი ჯანმრთელობა გვაინტერესებს.**

— ჯანმრთელობას არა უშავს..

**— შემდეგი შეკითხვა, თავისთავად, გუნდის მომავალი სეზონისათვის მზადებას შეეხება...**

— სიამოვნებით გიპასუხებთ. მეორე ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადება იანვრის პირველ რიცხვებში დავიწყეთ, გავიარეთ სამედიცინო შემოწმება და უკვე 11 იანვრიდან ვარჯიშსაც შევუდექით. ამასთან, ჩავატარეთ ოთხი საკონტროლო მატჩიც (**ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ — გ. ტ.**), რომლებითაც, მე როგორც მთავარი მწვრთნელი, კმაყოფილი დავრჩი. ამ მზადების დროს მთავარი ის იყო, რომ არსად წავედით. ტრადიციულად, ამ დროისათვის, გუნდების უმრავლესობა შავიზღვისპირეთში მიემგზავრება. მაგრამ ამ დღეისათვის იქ საკმაოდ ცუდი მეტეოროლოგიური და ასევე არასახარბიელო საყოფაცხოვრებო პირობებია. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ სპარინგპარტნიორები (ლაპარაკია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე), ჩვენთან თამაშზე უარს ამბობენ. ამ შემთხვევაში, უბრალოდ, სიტყვებიც არ მყოფნის — ეს ხომ ელემენტარული დისკრიმინაციაა...

**— ე. ი. ჩვეულ ადგილზე (ლესელიძეში) საერთოდ არ წახვალთ?**

— ჩვენ თავდაპირველად 4 თებერვალს ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იქ სასიკეთო პირობები არ გვეგულებოდა. აქ კი, ჩვენს საწვრთნელ ბაზაზე, ყველა პირობა გვაქვს ნაყოფიერი მუშაობის. დამეთანხმებით, რომ კარგიდან ცუდ პირობებში გუნდის გადაყვანას აზრი არა აქვს. თანაც, რა დასამალია, ადრე ჩვენ ლესელიძეში რომ ჩავდიოდით, განსაკუთრებული პრივილეგიები გვქონდა. ახლა ჩვენი კლუბი თვითდაფინანსებაზეა და ათასგვარი პრობლემები გვაწუხებს. ისე, რომ იცოდეთ, მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ხანგრძლივი შეკრებების — ზოგს ოჯახი ჰყავს, ზოგიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს და თანაც, აქ განწყობა და ხალისიც მეტია. ამჟამად გუნდი ერთკვირიანი ვარჯიშის ციკლს გადის, შემდეგ ვაპირებთ ამხანაგური თამაშების ჩატარებას ჩვენთან მეგობრული ვიზიტით მყოფ პოლონეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან კატოვიცის „გკს"-სთან. თანაც, ჩვენი სურვილია, რომ ერთი შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე გავმართოთ. მინდა, ხალხმა დაინახოს, რომ ჩვენ იზოლაციაში არა ვართ. დაახლოებით 24 რიცხვისთვის კი, ალბათ, ლესელიძეში გავემგზავრებით და იქ განვაგრძობთ მზადებას.

**— ბატონო დავით, რამდენად საფუძვლიანია საუბარი იმის თაობაზე, რომ თითქოსდა, გია გურული ამჟამად კატოვიცის „გკს"-ს ღირსებას იცავდეს?**

— პირდაპირ გეტყვით — გია ამჟამად მაგ გუნდშია და კონტრაქტსაც მოაწერა ხელი (140000 დოლარი). საერთოდ, მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენი ფეხბურთელები ითამაშებენ უცხოეთში, ამით მხოლოდ საქმეს წაადგება. იგივე გია გურული, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო შარშანდელ სეზონში, ახლაც ბევრ სიკეთეს გააკეთებს. გიამ, რომ იტყვიან, თავისი ვალი მოიხადა ქართული ფეხბურთის წინაშე და რატომ უნდა ავუდგეთ წინ 27 წლის კაცს, რომელსაც ოჯახი ჰყავს? თანაც, პირობებიც ისეთია, რომ წაგებაში არც გია და არც ჩვენ არ ვრჩებით. მაგალითად, ხომ შეიძლება გიას თამაშით რომელიმე სხვა კლუბი (იგივე ბუნდესლიგის) დაინტერესდეს და კატოვიცელებმაც იგი გაყიდეს. მაშინ იმ თანხიდან 50 პროცენტი ჩვენ გვეკუთვნის.

**— ბატონო დავით, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ცენტრისგან დაბრკოლება არ ყოფილა ამ შემთხვევაში?**

— საქმე იმაში გახლავთ, რომ გურულის გაყიდვა მოხდა, როგორც, ვითომდა, სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელი. ჩვენ ვიყავით სოხუმში, ვესაუბრეთ მათს წარმომადგენლებს და ისინიც უარზე არ დადგნენ. თანაც, გურულის კონტრაქტიდან შემოსული თანხის ნაწილს ამ გუნდსაც გადავურიცხავთ. სხვა რამითაც დავეხმარებით. ასევე, არ წავიდა ყოველივე ამის შემდეგ წინააღმდეგი კოლოსკოვიც... სამწუხაროდ, გია გურული ამჟამად კატოვიცეში დარჩა, რადგან კვლავ შეახსენა თავი ძველმა ტრავმამ.

**— გურულის წასვლა, ვფიქრობთ, საკმაო დანაკლისი იქნება გუნდისათვის. იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის სხვა ცვლილებებიც გაგვეცნოთ?**

— გურულის გარდა, შესაძლოა, რომ უცხოეთში, კერძოდ კი შვეციაში გააგრძელოს თამაში კიდევ ერთმა ჩვენმა წამყვანმა ფეხბურთელმა — სოსო ჭედიამ. ამ მოთამაშით დაინტერესებულია I ლიგის გუნდი „სუნდსვალი". ისე, დანაკლისი მართლაც სოლიდური აღმოჩნდა — შარშანდელი სეზონის ბოლოსთვის გუნდი სხვადასხვა მიზეზების გამო დასტოვეს აგრეთვე გელა კეტაშვილმა, გრიგოლ ცაავამ, ემზარ შონიამ, როინ კერძევაძემ, ზაურ ხაპოვმა, მამუკა მაჭავარიანმა და დავით ყიზილაშვილმა. რა თქმა უნდა, შევსებაც საჭირო იყო და ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შევხვდი და გავესაუბრე იმ ფეხბურთელებს, რომელთა მოწვევაც გვინდოდა. ზოგიერთმა, კერძოდ კი, ომარ თეთრაძემ და გოჩა გუჯაბიძემ უარი გვითხრეს, ხოლო დანარჩენებმა ხელი მოაწერეს ჩვენთან კონტრაქტს. ესენი იყვნენ: დიმიტრი კუდინოვი, გია ფირცხალავა (ორივე — „გორდა"), ნიკა ჩხეიძე („ქუთაისი"), გელა ინალიშვილი („ცხუმი") და მურთაზ შელია („ამირანი"). თანაც, როცა ამ ფეხბურთელებს ვესაუბრებოდი, ვკითხე — სხვა რაიმე ხელშეკრულება ხომ არ ჰქონდათ დადებული. ბოლოს კი რა გამოვიდა — აგერ უკვე რამდენი ხანია ვვარჯიშობთ და არც კუდინოვი და არც ფირცხალავა ჩვენთან არ გამოჩენილან. ყველანაირ მორალურ მხარეს თავი დავანებოთ, ჩვენი გუნდი მეტად მძიმე სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა, რაც დაკავშირებული იყო მცველების ნაკლებობასთან. ახლაც, რომ იცოდეთ, მეტად არასასიამოვნო სიტუაციაა. მამუკა მაჭავარიანი, როგორც გითხარით, გუნდიდან წავიდა და ხელი მოაწერა კონტრაქტს ზესტაფონის „მარგვეთთან". მაგრამ მაჭავარიანი აქ დაბადებული და გაზრდილი კაცია, აქ ოჯახური მდგომარეობაც გასათვალისწინებელია და, თანაც, ეს ბიჭი მხოლოდ ერთ კვირაზე ოდნავ მეტი იყო ზესტაფონში და ამჟამად ისევ ჩვენთან არის. ახლა ზესტაფონის კლუბის ხელმძღვანელობა იმუქრება, მაგ ფეხბურთელს დისკვალიფიკაციას მივცემთო, თუმცა იგივე ხომ შემიძლია გავუკეთო კუდინოვსა და ფირცხალავას? მაგრამ ჩვენი მოვალეობა ეს არის?.. კი, ბატონო, აუკრძალეთ თამაში მაჭავარიანს და გაუვა დისკვალიფიკაციის ვადა და მაინც არ წავა იქ. დაბოლოს, მინდა ჩემი წმინდა სუბიექტური აზრი გამოვთქვა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ფეხბურთელების გასპეკულიანტების...

**— ბატონო დავით, ცოტა ოპტიმისტურ ტონზე ხომ არ დაგვემთავრებინა ჩვენი ინტერვიუ?**

— სიამოვნებით. ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება მაღალი კლასის ფეხბურთის ჩვენება და, რაღა თქმა უნდა, ასევე მაღალი შედეგის ჩვენება, როგორც ჩემპიონატში, ასევე თასზე. გუნდის სხვა გამოცდილ წევრებთან ერთად ამჟამად ვარჯიშობენ აგრეთვე სამი ძმა არველაძეები — რევაზი, შოთიკო და არჩიკო. ასევე, გუნდში ირიცხება ალეკო გელაძე, რომელიც შარშან ოზურგეთის „მერცხალში" გამოდიოდა. ისე, რომ იცოდეთ, გუნდში იმდენი ხალხი არა მყავს, ორმხრივი თამაში რომ ჩავატარო... არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც, ალბათ, სხვასაც აწუხებს — გულშემატკივრის საკითხი. არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ჩვენი გუნდი ყველაზე ცუდ დღეში აღმოჩნდა. თავისთავად, ცხადია, ამდენი პრობლემების შემხედვარე კაცს სტადიონზე (განსაკუთრებით თბილისში) ვერ მოიყვან, მაგრამ მაინც ვიტყვი ჩემს გულის ამოძახილს — ეს გუნდი უნდა შევინარჩუნოთ...

●

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თბილისის „იბერიამ" რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. თავდაპირველად ისინი ორჯერ შეხვდნენ თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის გუნდს („კრწანისი"). ორივე შეხვედრაში იბერიელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც თვალნათლივ გამოიხატა კიდევაც ანგარიშში — 9:0 და 8:1. პირველ მატჩში „იბერიის" შემადგენლობა ასეთი იყო: ჩხეიძე, ჯამარაული, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი (არზიანი), რევიშვილი (ინალიშვილი), ნემსაძე, ჩიქოვანი, კაჭარავა (რ. არველაძე), ყაველაშვილი (შ. არველაძე), გოგიჩაიშვილი. ბურთები გაიტანეს — გოგიჩაიშვილმა (2), შ. არველაძემ (2), კაჭარავამ, ნემსაძემ, ჯამარაულმა, რ. არველაძემ და ყაველაშვილმა.

მეორე შეხვედრაში „იბერიამ" ასეთი შემადგენლობით ისპარეზა: დევაძე (ჩხეიძე), ქველაძე, ცხადაძე (მაჭავარიანი), ჭედია, არზიანი (ჯიშკარიანი), რევიშვილი (ქეცბაია), ნემსაძე (რ. არველაძე), ჩიქოვანი (შელია), ყაველაშვილი, (შ. არველაძე), კაჭარავა, ჯამარაული, (გოგიჩაიშვილი). აქ თავი გამოიჩინეს — გოგიჩაიშვილმა (3), კაჭარავამ (2), შ. არველაძემ, რევიშვილმა და რ. არველაძემ.

შემდეგ შეხვედრაში, გასულ შაბათს, „იბერიამ" თავის საწვრთნელ ბაზაზე შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორს — რუსთავის „გორდას" უმასპინძლა. აქაც თბილისელებმა იმარჯვეს ანგარიშით — 2:0 და მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. შემადგენლობა კი შემდეგნაირი იყო: ჩხეიძე, ჯამარაული, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (ქველაძე), ნემსაძე, ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი (ქეცბაია), გოგიჩაიშვილი. გოლები გაიტანეს — გოგიჩაიშვილმა (პენალტით) და ქეცბაიამ. „იბერიის" მეოთხე შეხვედრა კი შედგა სამშაბათს, 12 თებერვალს, ეროვნული სტადიონის სათადარიგო მინდორზე, სადაც მეტოქე იყო თბილისის „შევარდენი-1906". ეს მატჩიც „იბერიამ" დიდი ალმავლობით და მონდომებით ჩაატარა და სრულიად ლოგიკური იყო საბოლოო ანგარიშიც — 7:0. გოლები „იბერიის" მხრიდან გაიტანეს — ყაველაშვილმა, გოგიჩაიშვილმა (პენალტით), ქეცბაიამ, ჯიშკარიანმა, შელიამ, შ. არველაძემ და ქველაძემ. ჩემპიონის შემადგენლობა კი ასეთი იყო: დევაძე, არზიანი, ცხადაძე, შელია (ქველაძე), ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, რ. არველაძე, ყაველაშვილი (მაჭავარიანი), ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (შ. არველაძე).

როგორც მკითხველი ხედავს, „იბერია" მთელის გულმოდგინეობით და სერიოზულობით ემზადება მეორე ეროვნული ჩემპიონატისათვის და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს უპირველესი გუნდი კიდევ ბევრ სასიხარულო წუთს მიანიჭებს ქართველ გულშემატკივარს. ოღონდ, წინასწარ გთხოვთ — ზურგს ნუ შევაქცევთ პირველ ჩემპიონს...

**გია ტუხაშვილი**
**ოლეგ გველესიანის ფოტო.**

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თქვენ არა მარტო აქციას იძენთ — ჩვენს საქმეში შემოდიხართ!

გაიხსნა ხელმოწერა რესპუბლიკაში პირველ სასაქონლო-სანედლეულო და საფონდო ბირჟის აქციებზე.

12 მარტამდე ბირჟის თანადამფუძნებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი წარმოება, ორგანიზაცია თუ კერძო პირი, რომელიც „კავკასიის ბირჟის“ აქციას შეიძენს.

აქციის ნომინალური ღირებულებაა:

იურიდიულ პირთათვის — 100 000 მანეთი.

კერძო პირთათვის — 10 000 მანეთი.

საზღვარგარეთელი მონაწილეებისათვის — 100 000 დოლარი.

ყურადღება! უცხოელ პარტნიორებს პირველი 10 აქცია მიეყიდებათ შეღავათით: ნომინალზე 5-ჯერ ნაკლებად!




### რა არის „კავკასიის ბირჟა“

ბირჟა — პირველი რეალური ნაბიჯია ბაზრისაკენ, იგი ორგანიზაციას უწევს საბითუმო ვაჭრობას ნედლეულით, სასურსათო საქონლით, სათბობით, წარმოების საშუალებებით, ფასიანი ქაღალდებით და ა. შ.

ბირჟის მომწოდებლებს შორის არიან რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, კავკასიის რეგიონის უმსხვილესი გაერთიანებები.

ბირჟის პარტნიორები გახდნენ ამერიკის, ინგლისის, იტალიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ცნობილი ფირმები.

„კავკასიის ბირჟის“ სავარაუდო საწესდებო ფონდი 30.000.000 მანეთია.

მნიშვნელობა არა აქვს, ნედლეულის შეძენა გსურთ, თუ მზა პროდუქციის გაყიდვა, უპირველესად თქვენთვის აუცილებელია ადგილი ბირჟაზე, ამ ადგილის ფასი კი დღითიდღე გაიზრდება.

ბირჟა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ადგილი როდია, ბირჟა დამოუკიდებელი მომგებიანი საწარმოა!

### რას იძლევა „კავკასიის ბირჟის“ აქცია

აქცია მოქმედების თავისუფლებაა. კავკასიის ბირჟის აქციონერი დამოუკიდებელია ფონდებისა და ცენტრალიზებული მომარაგებისაგან.

„კავკასიის ბირჟის“ აქციის მფლობელნი არ თხოულობენ, თვითონ იღებენ. მათთვის ყველა გზა ხსნილია!

აქცია მისაწვდომს ხდის ყოველგვარ ინფორმაციას!. სად, რა, როდის, რა ფასად? ბირჟის ცენტრალიზებული კომპიუტერული მეხსიერება ოპერატიულად იძლევა აუცილებელ ინფორმაციას.

აქცია გარანტირებული მოგებაა. ყოველი ფინანსური წლის დასასრულს „კავკასიის ბირჟის“ აქციები მინიმუმ 20 პროცენტით „მძიმდება“. ზემო ზღვარი განუსაზღვრელია.

აქციის მფლობელი დამფუძნებლები შეიძლება არჩეულ იქნან ბირჟის საბჭოში და უფლება აქვთ გახსნან ბროკერული (მაკლერული) კანტორა.

### როგორ გავხდეთ „კავკასიის ბირჟის“ აქციონერი

აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 74-35-49. ყოველდღე, 10-დან 17 საათამდე ამ ნომერზე მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას.

„კავკასიის ბირჟის“ აქციის მფლობელი რომ გახდეთ, საკმარისია თავდაპირველად შეიტანოთ აქციის ნომინალური ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტი. რაც მთავარია, ეს უნდა გააკეთოთ დამფუძნებელ კონფერენციამდე, რომელიც 1991 წლის 12 მარტს შედგება.

ბირჟის წესდებას დღესვე შეგიძლიათ გაეცნოთ გაერთიანება „ამირანის“ გამგეობაში, სადაც დროებით მოთავსებულია ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი.

ფულის შეტანა აუცილებელია კომერციულ ბანკ „ამირანში“. ანგარიშის № 000161213 სსრ კავშირის სახ. ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო, ქ. თბილისი МФО 521006.

ყველა საკითხის გასარკვევად მიმართეთ მისამართით: ქ. თბილისი, 380020, ქეთევან წამებულის გამზ. 71.
ტელეფონი 74-35-49,
ტელეფაქსი (8832) 51-55-29,
ტელექსი 212254 MUZA SU

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“



## გვჭირდება კი ეს აქცია?

წლეულს, თებერვალში, გაზეთებში „თბილისსა“ და „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება, რომელიც გვაუწყებდა, რომ 23 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან ეწყობა საპროტესტო აქცია საბჭოთა საოკუპაციო ჯარების რესპუბლიკიდან გაყვანის შესახებ და მოგვიწოდებდა მივიღოთ მასში მონაწილეობა.

მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და მისი ლიდერი ირაკლი წერეთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. მათ არაერთხელ გამოხატეს ეროვნული მოძრაობის სწორი პოზიცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების კონსოლიდაციის თავგამოდებული მომხრენი არიან და ეროვნული კონგრესის ირგვლივ გაერთიანებულ პარტიებთან ერთად, არაერთხელ გადადგეს პრინციპული ნაბიჯი ეროვნული ძალების გათიშულობის ლიკვიდაციისათვის. ამიტომაც გვაქვს ჩვენ მათდამი პატივისცემა და რწმენა. მაგრამ ამჟამად, როცა ჩვენს სანუკვარ სამშობლოში თითქმის უფსკრულის პირამდეა მისული დაძაბული მდგომარეობა, საზოგადოებრივი სინამდვილის ყველა სფეროში, ასეთი აქციის მოწყობა გაუმართლებლად მიგვაჩნია. კი ბატონო, ვეთანხმებით, რომ რესპუბლიკაში მდგომი არმია საოკუპაციო და დამპყრობელია, რის შესახებაც არაერთხელ ითქვა საჯაროდ, მათი აგრესიული წარსულიც რომ დავივიწყოთ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოში, ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მათი ვანდალური მოქმედების არაერთი მოწმე გავხდით. არც შუა აზიის რესპუბლიკებში გამოიყურებოდნენ ისინი მამა აბრამის ბატკნად, მაგრამ დღეს რესპუბლიკას, მის ახლად არჩეულ მთავრობას, ქართველებსა და არაქართველებს, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას თუ პარტიას, მათთან ერთად ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას გადასაჭრელი აქვს ერთადერთი უმთავრესი — ერისათვის სასიცოცხლო ამოცანები, და ყველა, ვისაც კი მართლაც უყვარს საქართველო, მიზნით უნდა შეიკრას ერთ მუშტად. ესეც არ იყოს, დაძაბული პოლიტიკური პერიპეტიები ყოველთვის სავსეა ინტრიგებითა და პროვოკაციებით. არ არის გამორიცხული, რომ ამ აქციას, თუნდაც იდეალურად მშვიდობიანს, არ მოჰყვეს საზარელი შედეგი. გარდა ამისა, ჩვენის ღრმა რწმენით, საოკუპაციო ჯარების ასე თვალის დახამხამებაში გაყვანა, მირაჟია.

იმ დღესაც მოვესწრებით, გვისმინოს მაღალმა ღმერთმა, როცა ოკუპანტები საქართველოს უწმინდესი მიწისაგან აიბარგებიან, მაგრამ მხოლოდ თავის დროზე. არაფერს ისე ჭეშმარიტად არ განსაზღვრავს დროის ფაქტორი, როგორც რევოლუციასა და სამშობლოს თავისუფლებას.

ამიტომ, ჩვენ მთელი ძალისხმევით მოვუწოდებთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, მის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი წერეთელს, არ ჩაატარონ ზემოხსენებული აქცია ამიერკავკასიის სამხედრო შტაბთან.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტია ყურად იღებს მშობლიური ერის საყოველთაო სურვილს.

**საქართველოს სსრ ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს სამედიცინო-ჰიგიენური განათლების რესპუბლიკური ცენტრი**

**სულ 45 თანამშრომელი**

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ საზოგადოება „ქართრზისის“ ფონდში.

## მხოლოდ ქართულად...

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟი გაცნობებთ, რომ მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო დაწესებულებები ურთიერთშორის საპრეტენზიო მუშაობას წარმართავენ რუსულ ენაზე. აგრეთვე, რესპუბლიკის არბიტრაჟში შემოდის სასარჩელო განცხადებები რუსულ ენაზე იმ ორგანიზაციებისგანაც კი, რომლებიც განლაგებული არიან რესპუბლიკაში.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ შევახსენოთ რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებს, რომ საქართველოს არბიტრაჟი და რესპუბლიკაში განლაგებული ორგანიზაციები ურთიერთშორის მიმოწერას აწარმოებდნენ მხოლოდ ქართულ ენაზე.

**ევტიხი ბენდელიანი,**
საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრი.


ახალგაზრდა ივერიელი
«Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 [illegible] 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380098
მ. კოსტავას ქ. № 14.